ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

ერთად ევროპული არჩევანისთვის

Together for European Choice

DIGNITY
LIBERTY
EQUALITY

ახალციხისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლებში განხორციელებული პროექტი

„ერთად ევროპული არჩევანისთვის“

საკონკურსო ნაშრომების კრებული

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები“
სექტემბრი, 2014 წ.
ქ. თბილისი

შინაარსი[1]

წინათქმა

- პროექტის მნიშვნელობა და შეჯამება

კრებულში დაბეჭდილი ნაშრომების

- აიშა ბადალოვა;
- გენადი ბოჭოიძე;
- გვანცა ტალაცაძე;
- ქეთევან გურგენიშვილი;
- მარიამ ხარაიძე;
- სალომე ზურაბიანი;
- დიანა ბოლქვაძე;
- მარიამ შაორშაძე;
- ვლადიმერ ჩხიტუნიძე;
- ირაკლი დევაძე;
- დეა ნავერიანი;
- ლაშა ნარიმანიშვილი;
- ნანა აკოფიანი;
- ნათია კაკაჩიშვილი;
- მაკა მანველიშვილი;
- ანა მაისურაძე;
- მარიამ ხატიძე;
- რებეკა თოროსიანი

ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია

[1] კრებულის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე: www.barristers.ge

პროექტის მნიშვნელობა და შეჯამება

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება საქართველოს სახელმწიფოებრიობის ახალი აქტია - ასე შეაფასა ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2014 წლის ივნისში ქვეყნის უახლესი ისტორიის თვალსაჩინო თარიღი - საქართველოს მიერ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება. ორგანიზაციამ გავრცელებულ საჯარო განცხადებაში საზოგადოების ყურადღება დაუთმო პასუხისმგებლობის საკითხს და აღნიშნა, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, რეალური ხდებოდა კონსტიტუციით განმტკიცებული ქართველი ხალხის არჩევანის დეკლარირება – დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება და სამართლებრივი სახელმწიფო, ეკონომიკური თავისუფლება, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც იმთავითვე, საქართველოსთვის ევროპულო ინტეგრაციის გარეშე, წარმოუდგენელია.

2014 წლის 27 ივნისიდან, საქართველოში თანდათანობით უნდა შეიცვალოს არსებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფერო, ვინაიდან ქვეყანა ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერით საზოგადოებისთვის ქმნის ახალ სამართლებრივ სივრცეს და შესაძლებლობას, რომელმაც უნდა განამტკიცოს დემოკრატია და უფლებათა დაცვის რეალური გარანტიები. ორგანიზაციამ საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების მიმართ, სარეკომენდაციო წინადადებებიც შეიმუშავა, რომელმაც ხელშეკრულების შემდგომი იმპლემენტაციის და რეალური შედეგების სურვილი გამოხატა. ორგანიზაციის ხედვა მოიცვა შემდეგი ღონისძიებების გატარების აუცილებლობამ:

1. დაიწყოს დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა, გაძლიერდეს საჯარო მმართველობის გამჭვირვალობა, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი რეფორმების გზით, მყარი გახდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა, მმართველობის სისტემამ უზრუნველყოს კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობა და არჩევითი დემოკრატიის მიმართ ერთგულება;

2. პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესში, უზრუნველყოფილ იქნეს ხალხის რეალური თანამონაწილეობა. მნიშვნელოვანია, გაიზარდოს საზოგადოების პასუხისმგებლობა ქვეყნის მართვის პროცესშიც და გაძლიერდეს საზოგადოებრივი კონტროლი დემოკრატიული რეფორმების პროცესში;

3. საქართველოს მთავრობამ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმების შემდგომ, მნიშვნელოვანია სწრაფი ცვლილებები განახორციელოს, რომელიც შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების იმპლემენტაციის პროცესში აუცილებელ რეფორმებს დააჩქარებს;

4. საქართველოს პარლამენტმა, გონივრულ ფარგლებში უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ეროვნული სამართლებრივი სივრცის ახალ, ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა;

5. საქართველოს სასამართლო სისტემა უნდა გახდეს მაღალი დემოკრატიული სტანდარტის შემომტანი, სადაც მხარეთა თანასწორუფლებიანობა და შეჯიბრებითობა იქნება პოლიტიკური ჩარევისგან დამოუკიდებელი. სასამართლომ უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური ნების მართლზომიერების შემოწმება და რეალური არბიტრის როლის შესრულება.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ სამართლის გუნდს მიგვაჩნია, რომ „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ამბიციური და ინოვაციური დოკუმენტია, რამდენადაც,

მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DC FTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოვების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს, თუმცა იმისთვის, რომ საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფი სათანადოდ აღმოჩნდეს მომზადებული ცვლილებების გაცნობისა და მიღებისათვის, ორგანიზაციამ ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელობისა და სიკეთეების თაობაზე, სამოქალაქო ცნობიერების გაზრდისა და ამაღლების მიზანი დაისახა.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ევროინტეგრაციის პროცესის მიმართ ინფორმირების გაზრდის აუცილებლობა საქართველოს არაქართულენოვან რეგიონებში - სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში დაინახა. პროექტმა: „ერთად ევროპული არჩევანისთვის“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაქვემდებარებული ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა, რითაც შესაძლებლობა გაჩნდა, მარნეულისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან ინსტიტუციური დიალოგი და შეხვედრების ორგანიზება ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის საკითხებზე მსჯელობისთვის და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა სამოქალაქო ცნობიერების გაზრდის მიმართულებით.

ორგანიზაციამ პროექტის განხორციელების ძირითად სამინზე ჯგუფად საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები აირჩია და ინიციატივა დასაბუთდა იმით, რომ ევროპული არჩევანი საპასუხისმგებლო, ისტორიული მომენტია, ამ პროცესში კი ახალგაზრდების ჩართულობა ახალი საზოგადოებრივი თვითშეგნების, მართლწესრიგისა და სოციალური გარემოს შექმნისთვის ერთ–ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. კვლავაც ვფიქრობთ, რომ ჯერ კიდევ სათანადოდ არ ხდება, მათ შორის ეთნიკურად უმიცრესობაში მყოფი ახალგაზრდების ინფორმირება, თუ რა პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ პრობლემის დაძლევისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ახალგაზრდებს ჰქონდეთ საჭირო ინფორმაცია ევროპული არჩევანის სიკეთეებისა და მნიშვნელობის შესახებ. პროექტმაც: „ერთად ევროპული არჩევანისთვის“ ამ მიდგომების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

ახალციხისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში დასრულებული პროექტის მიზნებსა და ამოცანებს, უფრო ვრცლად, წარმოადგენდა:

1. ეთნიკურად არაქართულენოვანი რეგიონის ახალგაზრდების ინფორმირება საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობის, ცვლილებებისა და მოლოდინების შესახებ;
2. ახალგაზრდების ინფორმირება და საქართველო–ევროკავშირის ურთიერთობების შესახებ საჯარო დიალოგი და საკითხის აქტუალიზაცია ეთნიკურად არაქართულენოვან რეგიონებში;
3. ახალგაზრდების სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა ქვეყნის ინსტიტუციური განვითარებისთვის მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ;
4. ახალგაზრდების კომპეტენტურობისა და ხედვის პრიორიტეტულობის წარმოჩენა, ჩართულობა, ხელშეწყობა და წახალისება;
5. ახალგაზრდების კონკურენტულ გარემოში დამკვიდრებისა და თანაცხოვრების მნიშვნელობის წარმოჩენა.

ორგანიზაციამ და პროექტის ავტორებმა, ამ მიზნით, რეგიონის საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრებითა და საჯარო ლექციების სახით, უზრუნველყვეს:

1. ფართო დიალოგის წარმოება ეთნიკურად არაქართულენოვანი რეგიონის ახალგაზრდებთან და ქვეყნის ევროპული არჩევანის ინსტიტუციური მნიშვნელობის დასაბუთება;
2. ევროპული მართლწერიგისა და სამოქალაქო ღირებულებების უპირატესობის დასაბუთება;
3. ეთნიკურად არაქართულენოვან რეგიონში ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და მათი ხედვის საზოგადოებისთვის წარდგენა;
4. ახალგაზრდულ ასაკში სწორი ღირებულებითი სისტემის გაჩენა და განვითარება;

5. ახალგაზრდების დაინტერესება არჩევით დემოკრატიაში აუცილებელი თანამონაწილოებისათვის.

ორგანიზაციამ პროექტის განხორციელების პროცესში, იხელმძღვანელა სამუშაო გეგმის მიხედვით, რომელითაც პროექტის მიმდინარეობა და ეტაპები დამტკიცდა. ორგანიზაციამ ყველა ეტაპი წარმატებით დაასრულა, ხოლო 2014 წლის 1 სექტემბერს, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდს ეთხოვა, პროექტში საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელთა სრულფასოვანი მონაწილეობის გამო, პროექტის დასრულების თარიღი, 5 სექტემბრის ნაცვლად, 29 სექტემბერი ყოფილიყო. პროექტის ავტორებმა გაითვალისწინეს მდგომარეობა, როდესაც საჯარო სკოლის მოსწავლეები, საზაფხულო არდადეგების პერიოდში, ვერ შეძლებდნენ პროექტით გამოცხადებული საკონკურსო თემატიკის მიმართ სათანადო ყურადღებას. შესაბამისად, დონორ ორგანიზაციასთან ერთად, სამართლიანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული და პროექტი 29 სექტემბერს დასრულდა.

ეტაპი	აქტივობა	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
I	*წერილობითი და ვერბალური კომუნიკაცია არაქართულენოვანი რეგიონის საგანამნათლებლო დაწესებულებებთან, პროფესიულ სასწავლებლებთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, კომუნიკაცია ადგილობრივ დემოკრატიის ჩართულობის ცენტრებთან, შეხვედრების ჩანიშვნის ორგანიზება, კომუნიკაცია საჯარო უწყებებთან პროექტის მხარდაჭერის მიზნით; საგაზეთო მასალების მომზადება, საინფორმაციო გაზეთის ბეჭდვა, საჯარო ლექციის მასალის მომზადება, პროექტის მაიდენტიფიცირებელი მაისურების ბეჭდვა.*	05 მაისი	05 ივნისი
II	*არაქართულენოვანი რეგიონის საგანამნათლებლო დაწესებულებებთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან შეხვედრა; საჯარო ლექცია: „საქართველო ევროკავშირის გზაზე“, საგნობრივი დისკუსია, სამოქალაქო კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო გაზეთის გავრცელება ადგილობრივ მოსახლეობაში, თემაზე კონკურსის გამოცხადება და*	05 ივნისი	05 ივლისი

	საკონკურსო პირობების გაცნობა.		
III	*საკონკურსო ნაშრომების მიღება, კომისიის მიერ ნაშრომების შეფასება, რეგიონალური კონფერენციების მოწვევისთვის საორგანიზაციო საკითხების გადაჭრა.*	**05 ივლისი**	**30 აგვისტო**
IV	*პროექტის დასრულების თარიღის შეცვლა; გამარჯვებული ავტორების გამოვლენა, ბროშურის ბეჭდვა.*	**30 აგვისტო**	**21 სექტემბრი**
V	*დასკვნითი კონფერენციის მომზადება ახალციხესა და მარნეულში, გამარჯვებული ავტორების გამოვლენა, დაჯილდოვება და წახალისება, შესრულებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის/მონიტორინგის წარმოდგენა*	**21 სექტემბრი**	**29 სექტემბრი**

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2014 წლის 27 მაისს, პროექტის მიმართ მხარდაჭერის, ჩართულობისა და საორგანიზაციო საკითხებში დახმარების აღმოჩენის მიზნით, მიმართა პროექტით გათვალისწინებულ საჯარო და კერძო დაწესებულებებს:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
- საქართელოს საგარეო საქმეთა სამინისტროს;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს;
- ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს;
- საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს;
- საინფორმაციო ცენტრს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ;
- ევროკავშირის წარმომადგენლობის ელჩს საქართველოში;
- საქართველოში ევროსაბჭოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელს;
- სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის გუბერნატორებს;
- ახალციხისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების საკრებულოებს;
- მარნეულისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების საგანმანათლებლო ცენტრებს;
- მარნეულისა და ახალციხის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებს.

პროექტს მხარდაჭერა გამოუცხადეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა, სამცხე ჯავახეთისა და ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატმა, მარნეულისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა, ადგილობრივმა საგანმანათლებლო რესურსენტრებმა. პროექტის მიმართ მხარდაჭერა გამოთქვა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობამაც.

რეგიონებში გამართულ შეხვედრებს უმასპინძლა ადგილობრივმა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებმა.

პროექტის დაწყების შესახებ საჯარო პრესკონფერენცია - 13 მაისი, 2014

2014 წლის 1 ივლისს, პროექტმა: „ერთად ევროპული არჩევანი“, სტარტი ახალციხიდან აიღო, ხოლო 3 ივლისს ინიციატივის ავტორებს მარნეულის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა.

ორგანიზაციამ ახალგაზრდებს შესთავაზა საჯარო ლექცია საქართველო–ევროკავშირის ურთიერთობებისა და საქართელოს ევროპული არჩევანის ისტორიის, შესაძლებლობებისა და მოლოდინების შესახებ. შეხვედრაზე მოხდა პროექტის ფარგლებში მომზადებული სპეციალური გაზეთის „საქართველო ევროკავშირის გზაზე“ პრეზენტაცია, რომელმაც ამომწურავი ინფორმაცია შესთავაზა მკითხველს ევროპასთან საქართველოს ინტეგრაციის პროცესზე. საჯარო ლექციის დასრულების შემდეგ, ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის გამოცხადდა კონკურსი და ვრცლად იქნა განმარტებული კონკურსში მონაწილეობის პირობები. რეგიონის საჯარო სკოლის მოსწავლეებს, სტუდენტებსა და 25 წლამდე მოქალაქეებს, შესაძლებლობა მიეცათ მოემზადებინათ ანალიტიკური ნაშრომები თემაზე: „საქართველო ევროკავშირის გზაზე“. მოცემული გამოცემაც, სწორედ საკონკურსო თემების კრებულს წარმოადგენს, რომლის პრეზენტაციაც, პროექტის დასკვნით კონფერენციაზე მოხდა.

პროექტის ფარგლებში, მართალია, გაცილებით მეტი ახალგაზრდა ჩაერთო სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კამპანიაში, რა დროსაც გაზეთი: „ერთად ევროპული არჩევანისთვის“ უფასოდ გავრცელდა, როგორც ახალციხის, ასევე მარნეულის მოსახლეობაში, მაგრამ გაცილებით მოკრძალებული აღმოჩნდა შემოსული საკონკურსო თემები, მაგრამ პროექტის წარმატებულობისა და მდგრადობის შეფასების თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკურად არაქართულენოვან რეგიონებში, შიდა და გარე რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, პროექტი საჭირო და დროული ინსტრუმენტი აღმოჩნდა,

შეცლილიყო ადგილობრივ ახალგაზრდებში ჩამოყალიბებული არაერთი სტერეოტიპის მიმართ დამოკიდებულება, რითაც ევროპასთან საქართველოს ურთიერთობა, ხშირად წარმოჩენილია ხოლმე, როგორც ტრადიციულობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დათმობაზე მითითებით. ამასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები და რუსეთ–საქართველოს ურთიერთობა, რომელიც, თითქოსდა აფერხებს ევროინტეგრაციის პროცესს. მიგვაჩნია, რომ ყველა ფაქტორი, ახალგაზრდებთან ინსტიტუციური დიალოგის ფარგლებში, დაიძლია, რადგანაც თემები, რომლებიც პროექტის ფარგლებში, გამარჯვებული აღმოჩნდა, მიუთითებს ახალგაზდების დამოკიდებულებაზე საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობის აუცილებლობაზე. ამასთან, პროექტის მნიშვნელობის და განხორციელებული აქტიურობების მსჯელობაში გადატანა, უკვე მიანიშნებს ინიციატივის შედეგზე და მომავალში, მსგავსი პროექტების აღნიშნულ რეგიონებში განხორციელების აუცილებლობაზე.

საჯარო ლექცია ახალციხის მუნიციპალიტეტი - 1 ივლისი, 2014

მარნეულისა და ახალციხის ახალგაზრდებმა, პროექტში და შეთავაზებულ ღონისძიებაში მონაწილეობით, საკუთარი სამოქალაქო ჩართულობა განახორციელეს. მათ, შეიძლება ითქვას, ზუსტად შეაფასეს ის რეალობა, როდესაც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, 18 წლის ასაკიდან, იძენს უფლებაუნარიანობას, უშუალოდ მონაწილეობდეს ქვეყნის განვითარების პროცესში და რომ აღნიშნული პროექტი, ამ ასაკის მოზარდებისთვის, საკუთარი შესაძლებლობების, უნარ–ჩვევების გამოვლენისა და თვითდამკვიდრებისთვის, კარგი შესაძლებლობა იყო. ახალგაზრდებს შესწევთ უნარი, განსაზღვრონ მონაწილეობისა და ჩართულობის ხარისხი და განავითარონ დემოკრატიული აზროვნება. პროექტმა შესაძლებლობა მოიტანა, დისკუსია შედგარიყო ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს შორის ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, ვინაიდან არსებობს ტენდენცია, როდესაც ახალ თაობაში, მოქალაქეობრივი მოვალეობის განცდა დაკნინებულია. არ არსებობს შესაბამისი გარემო, სადაც დაინტერესებულ მოზარდებს შესაძლებლობა ექნებოდათ

გამოევლინათ საკუთარი მოტივაცია, განათლების დონე, ემსჯელათ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე და წარმოეჩინათ თავიანთი შეხედულებები საზოგადოებრივად აქტუალური თემების ირგვლივ. სკოლა, მართალია, მათთვის აუცილებელი აკადემიური გარემოა, თუმცა საჯარო დებატების კულტურა და გამოცდილება, ლიდერის ხასიათი და თვისება, კომპეტენტურობა და კვალიფიციურობა, კონკრეტული თანამონაწილეობის დროს ჩნდება. დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს, ამ მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ, რათა მათ უარი არ თქვან დემოკრატიულ ცხოვრებაში მონაწილეობაზე. მიგვაჩნია, რომ „ახალგაზრდა ადვოკატების“ პროექტმა: „ერთად ევროპული არჩევანისთვის“, ახალგაზრდებში ასეთი აზრის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას, მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია.

საჯარო ლექცია მარნეულის მუნიციპალიტეტი - 3 ივლისი, 2014

პროექტის ფარგლებში, თემაზე: „საქართველო ევროკავშირის გზაზე“, მარნეულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან 13, ხოლო ახალციხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან 6 ნაშრომი შემოვიდა. ორგანიზაციის და პროექტის ავტორებმა, მარნეულის მუნიციპალიტეტიდან შემოსულ ერთ ნაშრომთან დაკავშირებით, კრებულში დაბეჭდვასთან დაკავშირებით, უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღეს, ვინაიდან საკონკურსო თემა ვერ პასუხობდა საკონკურსო პირობის ვერც ერთ მოთხოვნას.

გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში, ორივე მუნიციპალიტეტიდან, შემდეგმა მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა:

ახალციხის მუნიციპალიტეტიდან:

თეონა ჩაჩანიძე, მარნეულის #5 საჯარო სკოლის მ-11 კლასის მოსწავლე;
მარიამ შაორშაძე, მარნეულის #5 საჯარო სკოლა, მე-11 კლასის მოსწავლე;
აიშა ბადალოვა, მარნეულის #5 საჯარო სკოლა, მე-12 კლასის მოსწავლე;
ქეთევან გურგენიშვილი, მარნეულის #5 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე;
სალომე ზურაბიანი, მარნეულის #5 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე;
ირაკლი დევაძე, მარნეულის #5 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე;
დეა ნავერიანი, მარნეულის #5 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე;
მარიამ ხარაძე, მარნეულის #6 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე;
გენადი ბოჭოიძე, მარნეულის სოფელ ორჯონიკიძის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე;
გვანცა ტალახაძე, მარნეულის სოფელ წერეთლის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე;
ვლადიმერ ჩხიტუნიძე, მარნეულის სოფელ საიმერლოს საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე;
დიანა ბოლქვაძე, მარნეულის სოფელ მარადიდის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე;

საქართველოს ევროპული არჩევანი - სამოქალაქო კამპანია მარნეულის მუნიციპალიტეტში

მარნეულის მუნიციპალიტეტიდან:

ნანა აკოფიანი, ახალციხის #3 სომხური სკოლის 11 კლასის მოსწავლე;
ნათია კაკაჩიშვილი, ვალეს საჯარო სკოლის მე-11ა კლასის მოსწავლე;
მაკა მანველიშვილი, ვალეს #1 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე;
ანა მაისურაძე, ახალციხის სოფელ მუსხის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე;
ლაშა ნარიმანიშვილი, ახალციხის #1 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე;
მარიამ ხატიძე, ახალციხის #5 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე;

გამარჯვებული თემის ავტორებს, საკუთარი ნაშრომების მომზადების დროს, უნდა დაეცვათ თემის წერის შემდეგი მნიშვნელოვანი პირობები. მომზადებულ თემაში უნდა წარმოეჩინა: ევოპული არჩევნის შეფასება, ევროინტეგრაციის მისაღები მხარეები, რას მოუტანს ევროპული ღირებულებები ქართულ საზოგადოებას, რას ნიშნავს, იყო ევროკავშირის მოქალაქე და ხედვა, როგორ იქნება საქართველო ევროკავშირში გაწევრიანებიდან 10 წლის შემდეგ? ვფიქრობთ, წარმოდგენილი ნაშრომები საინტერესოა და ავტორებს სამომავლოდ მისცემს საკითხზე მსჯელობის მეტ კომპეტენციასა და დამოუკიდებლობას.

მოცემული პროექტით, ორგანიზაციამ დაინახა ახალგაზრდების ხედვა ევროპასთან მიმართებაში. ის, თუ რა არის ევროპის მისაღები ან/და მიუღებელი მხარეები მათი თვალთახედვიდან გამომდინარე. ახალგაზრდებს მოუხდათ საკუთარი ქვეყნის არჩევანის შეფასება. პროექტი საწინდარი და წამახალისებელი ფაქტორი იყო იმისთვის, რომ მათ უფრო მეტი გაეგოთ საქართველოს არჩევანის და ზოგადად, ევროინტეგრაციის პროცესების შესახებ. დაინტერესებულიყვნენ ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელობით. ამ მხრივ, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება გადამწყვეტი მნიშვნელობის აღმოჩნდა. პროექტმა კიდევ ერთხელ დაანახა ორგანიზაციას და პროექტის ფარგლებში ჩართულ ყველა პირს, რომ მოზარდთა დაინტერესება და მათი ზოგადი ცოდნის ამაღლება, ინტელექტუალური უნარ-ჩვევების გამომუშავება, მსგავსი წახალისებებითა და საინტერესო კონკურსების შეთავაზებით, ნაყოფიერი და ეფექტურია.

საქართველოს ევროპული არჩევანი - სამოქალაქო კამპანია ახალციხის მუნიციპალიტეტში

საქართველო ევროკავშირის გზაზე

აიშა ბადალოვა,
მარნეულის მუნიციპალიტეტის #5 საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე,

ევროპა, მრავალი ომისა და პოლიტიკური სირთულეებისა, ყოველთვის იყო ინოვაციების ადგილი. ყოველთვის იყო „რაღაც“, რასაც ევროპისთვის სარგებელი მოჰქონდა. მეორე მსოფლიო ომს, რომელსაც ადგილი სწორედ ევროპაში ჰქონდა, შეეძლო წერტილი დაესვა ევროპის მომავალი განვითარებისთვის, მაგრამ ასე არ მოხდა. ევროპას აქვს შესანიშვანი გამოცდილება იმისა, თუ როგორ უნდა შეაფასო მომხდარი, თუნდაც ომი და აღიდგინო ღირსება.

ბოლო პერიოდში, საკმაოდ აქტუალური გახდა თავად „ევროინტეგრაციის“ ცნება და საკითხი. არაერთი სახელმწიფო ცდილობს მიაღწიოს ევროინტეგრაციას. ერთ-ერთი მათგანია საქართველოც, რომლისთვისაც, ბოლო ათი წლის განმავლობაში, საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტსაც, სწორედ ევროინტეგრაცია წარმოადგენდა. ისმის კითხვა, თუ რა ცვლილებები მოხდა ქვეყანაში ამ პერიოდის მანძილზე? მივიღეთ თუ არა ხელშესახები და დადებითი შედეგი?

მართალია, ვიდრე აღნიშნულ კითხვას გავცემდეთ პასუხს, უნდა ვიცოდეთ, თუ რას ნიშნავს ინტეგრაცია. ინტეგრაციაა სხვისი კულტურის მიღება და იმავე დროს, ეროვნული კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნება, თუმცა უმეტეს შემთხვევაში, ადამიანებს ერმანეთში ერევათ, რა არის ეს პროცესი, ინტეგრაცია თუ ასიმილაცია?! როგორც ცნობილია, კლასიკური გაგებით, ასიმილაციას სხვისი ღირებულებებისა და ფასეულობების მითვისება და საკუთარი ფასეულობების დაკარგვა წარმოადგენს, რაც განსხვავდება ინტეგრაციისაგან. ინტეგრაცია მხოლოდ პროცესია, რომელიც პიროვნებას თვითდამკვიდრებისკენ და სრულყოფისაკენ უბიძგებს. ინტეგრაციის პროცესში, პიროვნებას გააჩნია იმ გარემოს შესაბამისი ღირებულებები, სადაც იბადება, იზრდება და დამოუკიდებელ აზროვნებას ეჩვევა. ასეთი პიროვნება, ასეთ გარემოში, ახალ საზოგადოებაში, კიდევ უფრო მეტად იწყებს დაფიქრებას, თუ როგორია ამ გარემოს ღირებულებები და ფასეულობები. სწორედ აღნიშნული ცხოვრებისეული გამოწვევების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ იწყება პიროვნების ინტეგრაცია.

შესაძლებელია, ადამიანი ფიქრობდეს, რომ საკუთარ საზოგადოებას არ სჭირდება ინტეგრაცია, ვინაიდან უკვე გააჩნიათ საკუთარი ფასეულობები და ღირებულებები, რაც სამკმარისია არსებობისათვის. მე ვფიქრობ, რომ ინტეგრაცია ყველა ადამიანს სჭირდება. ინტეგრირებული პირი, თვითონვე შეამჩნევს მასში დადებით ტრანსფორმაციას. ამ შემთხვევაში, მახსენდება ა. აინშტაინის ერთ-ერთი ფორმულაც „1/მეცნიერება=ეგოიზმი“. ჩემი თვალსაზრისით, მართალია, სრული ინტეგრაცია შეუძლებელია, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა არ ჰყოფნის ამისათვის, ინტეგრაცია არის უსასრულო პროცესი, თუმცა ინტეგრაციისგან განსხვავებით, ევროინტეგრაცია არაა უსასრულო.

და ევროინტეგრაცია რა არის? ისიც გვჭირდება ჩვენ? რატომაა საჭირო და მნიშვნელოვანი ევროპული ფასეულობების მიღება?! რატომ ხიბლავს საქართველოს ევროპა? იმიტომ ხომ არა, რომ ევროპამ ადამიანის ძირითადი ღირებულებები, ადამიანის თავისუფლება და უფლებები, მყარად დაიცვა და არსებობს კანონის უზენაესობის პრინციპი., თუმცა, ზოგადად, „თავისუფლებაზეც“ რთულია ისაუბრო, რადგან ამ ცნების აღქმა ყველასთვის განსხვავებულია. უმრავლესობის დამოკიდებულება და შეხედულებები თავისუფლებაზე, გარკვეულწილად მისაღებია და ეს „საკუთარი ცხოვრებით ცხოვრებას” უკავშირდება, მაგრამ არის ისეთი საკითხებიც, რაც რელიგიასთან წინააღმდეგობაში მოდის და შესაბამისად, ეს ვერ იქნება იმ რელიგიის წარმომადგენლებისთვის ფასეული. რაც შეეხება თანასწორუფლებიანობას, ამ საკითხშიც ევროპული პოზიცია მისაღებია. ევროპელთა უმეტესობას, სწორედ თანასწორუფლიანობის იდეა აერთიანებს.

ევროპაშია მსოფლიოს უმსხვილესი ბრენდები, ორგანიზაციები და არცაა გასაკვირი, რომ მრავალი ქვეყანა, მათ შორის ჩვენი საქართველოც, ევროკავშირის წევრობისთვის იღწვის. დემოკრატიული საზოგადოება, დემოკრატიული მმართველობის სისტემა ევროპის კულტურასთან არის დაკავშირებული. ჩვენ გვიზიდავს ევროპული კულტურა და როდესაც ვსაუბრობთ მასზე, ჩვენ არამხოლოდ ხელოვნებას, არამედ ცხოვრების სტილს, პოლიტიკურ კულტურასა და მმართველობის დემოკრატიულ ფორმასაც ვგულისხმობთ.

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ევროინტეგრაციის გზაზე, სერიოზული ნაბიჯები გადადგა. გარკვეულმა ასპექტებმა, პოზიტიური კუთხით შეცვალა ეთნიკური და ეროვნული უმცირესობების მიმართ დამოკიდებულებაც ქვეყნაში. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მიერ გატარებული საგანმანათებლო რეფორმით, ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. აღსანიშნავია ერთ-ერთი ასეთი პროგრამა ''1+4'', რის შედეგადაც, ბევრ ახალგაზრდას მიეცა საშუალება, ისწავლოს ქართული ენა და მიიღოს განათლება საქართველოს ნებისმიერ სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საქართველო აღიარეს რეგიონის დემოკრატიულ ცენტრად. როგორც აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი, ჯორჯ ბუში ამბობდა, სახელმწიფოს დემოკრატიულობის მაჩვენებელი ქვეყნის ეროვნული და ეთნიკური უმცირესობებისადმი დამოკიდებულებაა. ევროპელები საკუთარ ეროვნულ ღირებულებებს პატივს სცემენ. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ, თუნდაც ნორვეგია, რომელ ქვეყანაშიც, უცხო ქვეყნის მოქალაქე, ვერ განვითარდება, თუ არ ისწავლის ნორვეგიულ ენას. ასეთი სტანდარტები არსებობს საფრანგეთსა და გერმანიაშიც.

დღესდღეობით, ჩვენს ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობები საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო აქტიურად არიან ჩართულნი, ვიდრე ეს წინა წლებში იყო, რაც მოწმობს, რომ მათ ნამდვილად სურთ ინტეგრირება. მიმაჩნია, რომ 21-ე საუკუნის ადამიანი, თავისუფალი უნდა იყოს საკუთარ შეხედულებებსა და პრინციპების დაცვაში. ამ მხრივ, ევროპა ფართო შესაძლებლობას და მაგალითს იძლევა.

და ბოლოს, მე ვთვლი, რომ საქართველო თავისი ეროვნული ფასეულობებით და კულტურით ევროპის ოჯახში გახდება მრავალფეროვნების ნაწილი და თავის წვლილს შეიტანს ,,მრავალფეროვან ერთიანობაში”.

საქართველო ევროკავშირის გზაზე

გენადი ბოჭოიძე,
მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ორჯონიკიძის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე,

მე უკვე 16 წლისა ვარ და მიჩნდება კითხვა, თუ რა სარგებლობას მოუტანს საქართველოს ევროინტეგრაცია? რა გავლენას იქონიებს ეს ქართულ კულტურაზე და მაინც რატომ ავირჩიეთ დასავლური კურსი? ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, შეგვიძლია ბევრი ვისაუბროთ, რადგან საქართველოს ახლა არ გადაუწყვეტია, გამხდარიყო ევროკავშირის ნაწილი. ის თავისი ისტორიის მანძილზე, მუდამ ისწრაფვოდა ევროპისაკენ. სწორედაც, რომ ევროპა ჩვენი და ჩვენი წინაპრების არჩევანია. ჩვენი ქვეყანა არასდროს არ ეგუებოდა შემოთავაზებულ ჩარჩოებს, ჩრდილოელი მეზობლები, სამხრეთელი თუ აღმოსავლეთელი მტერი ყოველთვის თავის „ბუდეში“ გვამწყვევდა და ჩვენი ქვეყნისგან მხოლოდ სარგებელს ელოდა. მე ეჭვი მეპარება, რომ ქართული საზოგადოება უნდობი იყოს, მაგრამ ჩდება კითხვები - ხომ არ მოგვიწევს რაიმე დათმობებზე წასვლა, ჩრდილი ხომ არ მიადგება ილია ჭავჭავაძის „ენას, მამულსა და სარწმუნოებას“? ან ჩვენს ძირძველ ტრადიციებს? ჩვენს ქვეყანას ისე უცხოვრია, რომ ნოვაციები მისთვის უცხო არასდროს ყოფილა. კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებას საქართველო ყოველთვის ახერხებდა. ჩვენს ტერიტორიაზე გადიოდა „აბრეშუმის გზა“, რომელიც დამაკავშირებელი იყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. კულტურულ განვითარებას კი საგანმანათლებლო კერები ადასტურებს, იგივე ხუროთმოძვრული ძეგლები, რომლებიც დღესაც საინტერესოა.

გავიდა დრო და ეკონომიკური განვითარება შეწყდა, ძალიან სუსტი და უმწეო ნაბიჯებით მიიწევდა წინ, მაგრამ საქართველოს კულტურული განვითარების გარაშე არასოდეს უარსებია. კულტურული განვითარებით ქვეყანა რაც არ უნდა დაწინაურებული აღმოჩნდეს, ეკონომიკური განვითარების გარეშე კეთილდღეობა წარმოუდგენელია. მაგალითად, უნიჭიერესი ქართველი მსახიობები და რეჟისორები დგამენ მსოფლიო მნიშვნელობის სპექტაკლებს, მაგრამ ახალგაზრდას, რომელსაც იმის საშუალება არ აქვს, რომ თეატრში წავიდეს ან მეგობრები მიიწვიოს, როგორ ჩამოუყალიბდება გემოვნება, რომელიც ევროპის გზას გვაჩვენებს. ნამდვილად არ გამიხარდება, რომ ეკონომიკური კეთილდღეობა ქართული კულტურისა და ტრადიციები ხელყოფით იყოს განპირობებული. ამაზე კი ლოგიკური პასუხი მაქვს, ვის უნდა ადარდებდეს ჩვენი ტრადიციების მოშლა? მისი არსებობა, ან არარსებობა ხომ მხოლოდ ჩვენთვისაა საინტერესო.

საქართველოს კულტურული თუ მსოფმხედველობითი მზერა ყოველთვის დასავლეთისკენ ჰქონდა მიმართული, დასავლური კავშირიც არ მალავდა საქართველოსადმი ინტერესს. რა თქმა უნდა, სასიამოვნო და გასახარია, რომ კიდევ ვინმესთვის ხარ საინტერესო. რამდენი წარმატებული მეცნიერი, მათემატიკოსი და ა.შ. იმყოფება საზღვარგარეთ, რადგან მათ თავისი შესაძლებლობების რეალიზება საართველოში ვერ მოახერხეს. მათ გაუმართლათ და საბოლოოდ, მაინც მიაღწიეს წარმატებას, მაგრამ ისინი, ვინც ვერ ახერხებენ საზღვარგარეთ განათლების მიღებას? მათი ნიჭი ხომ შეიძლება სათანადოდ არ იქნეს მიმართული? ასე, რომ ევროინტეგრაციით თითოეულ ქართველს ეძლევა შანსი, მიაღწიოს წარმატებას საკუთრ სფეროში და სრულფასოვანი განათლება მიიღოს უცხოეთში. დღესდღეობით, ამაზე ოცნება რეალური ხდება.

რაც შეეხება კითხვას, თუ როგორ წარმომიდგენია საქართველო 10 წლის შემდეგ?! ვთვლი, რომ ამაზე არ არის ზუსტი პასუხი, თუმცა საქართველო უფრო ძლიერი, ცნობილი და განვითარებული ქვეყანად წარმომიდგენია. ქვეყანა მხოლოდ ახლა იკრებს ძალებს ახალი განვითარებისთვის. ჯერ მხოლოდ სატელევიზიო გადაცემებითა და ვიდეო რგოლებით შეგვახსენებენ, რომ ევროპის გზაზე დავდექით, მოლოდინი კი ამ გზაზე უსაზღვროა. დიდხანს ლოდინი ჩემს თაობას ძალიან არ უყვარს!..

საქართველო ევროკავშირის გზაზე

გვანცა ტალახაძე;
მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ წერეთლის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე,

ჩვენ ევროპელები ვართ და რომ არა ისტორიული ქარტეხილები, ქართველებს არ დაგვჭირდებოდა მტკიცება, ვართ თუ არა ევროპული ოჯახის ბუნებრივი წევრები. თვითონ ევროპელებმაც ევროპეიდულ რასას კავკასიელი უწოდეს.

საქართველო კი არ მიისწრაფოდა, ან არჩევანს კი არ აკეთებდა, არამედ იყო ნაწილი და შემოქმედი ევროპული ღირებულებების. საქართველოს ისტორიაში ამის ბევრი მაგალითი გვაქვს: ფაზისის საგანმანათლებლო ცენტრში მიიღეს განათლება თემისტიოსმა და მისმა მამამ ევგენიოსმა და ისინი ამით ამაყობდნენ. ქართველ პეტრე იბერს ევროპელები დიონისე არეოპაგელთან აიგივებდნენ. ქართველთა გაქრისტიანებამ კი, საბოლოოდ დააკავშირა ევროპა და საქართველო. თურქ-სელჩუკებთან და მონღოლებთან თავგანწირული ბრძოლით, საქართველომ, მართალია მტრის ძალმომრეობის გავრცელება ევროპაში შეანელა, თუმცა ქვეყანა თავად გახდა მსხვერპლი. ბოლოს, 1453 წელს, ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობით, საქართველო დიდი ხნით დაშორდა ევროპას.

რა არის „ევროპელობა“? როგორ წარმოგვიდგენია „ევროკავშირი“?

ევროპული ფასეულობები: დემოკრატია, შემწყნარებლობა, ტოლერანტობა ის მყარი საფუძველია, რომლითაც ევროპა ხელმძღვანელობს. ევროკავშირში ყველა თანასწორუფლებიანია - მცირერიცხოვანი ერიც და მრავალრიცხოვანი სახელმწიფოებიც. 80-მილიონიანი გერმანია და 400-ათასიანი ლუქსენბურგიც, მშვიდობიანად თანაარსებობენ. ჩვენ ქვეყანასაც სწორედ ეს სჭირდება, რომელიც მოიტანს პოლიტიკურ სტაბილურობას. მსოფლიო, პირობითად, მდიდრებად და ღარიბებად არის დაყოფილი. სიმდიდრის ძირითადი ნაწილი ევროპაშია თავმოყრილი. საზოგადოების თითოეული წევრის ცხოვრების დონე და ხარისხი სახელმწიფის ეკონომიკურ განვითარებაზეა დამოკიდებული. ევროპას ყველაზე მეტად ცხოვრების ხარისხი გამოარჩევს და მისი ცხოვრების პრინციპები ეფუძნება შემდეგ ფაქტორებს: განათლების და ჯანდაცვის განვითარებას, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვას, თვითრეალიზებას. ადამიანის უფლებათა დაცვა ხომ პრიორიტეტული და დემოკრატიის ქვაკუთხედია. ამიტომაც, მინდა ევროპა და არ მინდა ჩემს ქვეყანაში ვინმეს ჰქონდეს სოციალურად-დაუცველის, ხელმოკლე ოჯახის ან უმუშევრის სტატუსი.

ევროკავშირთან ინტეგრაცია ხელს შეუწყობს წარმოების და აგრობიზნენსის განვითარებას, პროგრესული ტექნლოგიების ხელმისაწვდომობას. ეს საქართველოს საშუალებას მისცემს შეძლოს სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გატარება. საქართველოს ევროპულ არჩევანს არ გააჩნია ალტერნატივა. ქართველი ხალხი აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს ევროპას, რომლისაკენაც მუდმუვად მიისწრაფოდა კულტურით, რელიიგით და პოლიტიკური სისტემით.

საქართველო ევროკავშირის გზაზე

ქეთევან გურგენიშვილი;
მარნეულის მუნიციპალიტეტის №5 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე,

საქართველო ევროპული ცივილიზაციის უშრეტ წყაროს თითქმის 5 საუკუნის წინ ოსმალეთის იმპერიის მიერ ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ მოწყდა. მიუხედავად ამისა, საუკუნეების განმავლობაში საქართველომ მოახერხა არა მარტო ეროვნული ტრადიციების და კულტურის, არამედ საკუთარი ევროპულობის განცდის შენარჩუნებაც. მიუხედავად უმძიმესი განსაცდელისა, ქართველი ხალხის ასიმილირება და სხვა, მისთვის უცხო კულტურული ფასეულობების არეალში მოქცევა ვერ მოახერხა ვერცერთმა დამყრობელმა. მაშინაც კი, როდესაც ქართველი ერი რუსეთის დიდი იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა. ის აგრძელებდა მხოლოდ იმ ინსტიტუციურ და ზოგად-კულტურული ელემენტების გათავისებას, რომლებიც ევროპული წარმოშობის იყო.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველო სწრაფად უახლოვდება ევროპას და კერძოდ, ევროპის კავშირს. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა 1992 წელს დაიწყო, როგორც კი საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობა აღიდგინა. ევროკავშირი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საქართველოს გარდამავალი პერიოდის მძიმე წლებში დაეხმარა. ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობა უფრო ინტენსიური 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გახდა, როდესაც ევროკავშირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების მხარდაჭერა. ევროპის კავშირთან ურთიერთობის გაღრმავება და ინტეგრაცია არა მარტო ევროპული ცივილიზაციის წიაღში დაბრუნების, კეთილდღეობის და სტაბილურობის გარანტიას იძლევა, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის, კულტურული გადარჩენის და განვითარების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს.

2014 წლის ივნისში ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობები ხარისხობრივად სულ სხვა ეტაპზე გადავიდა. ასოცირების შესახებ შეთანხმება და მასში შემავალი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ითვალისწინებენ: ევროკავშირთან მიმავალი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობას.

1. პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვნად გაღრმავებას.
2. საქართველოს დაახლოებას ევროპასთან.
3. ერთიან ბაზარს.
4. ეკონომიკურ და სოციალურ თანამშრომლობას.
5. საგარეო და უშიშროების პოლიტიკას.
6. დასაქმების პოლიტიკას.
7. გარემოს დაცვას.
8. საგარეო და თავდაცვის პოლიტიკას.
9. ევროპულ განათლებას.
10. განვითარებულ ჯანდაცვის სფეროს
11. თავისუფალ მიმოსვლას ევროპის ქვეყნებში.

საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, მხოლოდ საქართველოს პასპორტით შეეძლება შენგელის 26 ქვეყანაში (მათ შორის საფრანგეთი, გერმანია, ჰოლანდია, ავსტრია, საბერძნეთი) უვიზოდ შესვლა და გადაადგილება 90 დღის განმავლობაში. საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირის ,,ევროპის სამეზობლო პოლიტიკის'' შედეგია, რომელიც 2004 წელს დაიწყო და რომლის მიზანი იყო გაფართოებული ევროკავშირისა და მისი მეზობლების დაახლოვება. ასევე, ყველა ჩართულ მხარეში კეთილდღეობის, სტაბილურობის და უსაფრთხოების ხელშეწყობა. მან ხელი

შეუწყო კავშირების ჩამოყალიბებას თანამშრობლობის ახალ სფეროებში და საქართველოს მიზანს, მიეღწია მეტი დაახლოებისთვის ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებთან.

თავისუფალი სიტყვა მნიშვნელობას მაშინ იძენს, როდესაც იგი ჭეშმარიტია, ხოლო საზოგადოება მაშინ არის თავისუფალი, როდესაც აზროვნებს. ჩვენ, ახალგაზრდა თაობა ვართ, რომელიც ვქმნით ჩვენი ქვეყნის მომავალს, ხოლო ევროპა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ კიდევ უფრო განვითარდეთ და თავისუფალ მოქალაქეებად ჩამოვყალიბდეთ. ჩემი აზრით, თუ საქართველო გააგრძელებს იმ განვითარების გზას, რომელსაც დღესდღეობით ადგას, ვფიქრობ, უახლოეს მომავალში, იგი ,,ევროპული ოჯახის'' სრულფასოვანი წევრი გახდება.

საქართველო ევროკავშირის გზაზე

მარიამ ხარაიძე,
მარნეულის მუნიციპალიტეტის #6 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე;

საქართველო თავისი წარსულითა და მომავლით ყოველთვის იყო და არის ევროპული ცივილიზაციის ნაწილი. ქართული საზოგადოების ძლიერი გენეტიკა არასოდეს უშინდებოდა სიახლეებს, ყოველთვის ილტვოდა ინტელექტისკენ, განათლებისკენ და განვითარებისკენ. ჩვენი საამაყო ქართველი მეფეები, ყოველთვის ისწრაფვოდნენ ევროპისკენ, თუმცა არ ეძლეოდათ ოცნების ასრულების შესაძლებლობა, მაგრამ დღეს დადგა დრო და გაჩნდა შესაძლებლობა, ქართული საზოგადოება წავიდეს იქითკენ, რა ფასეულობაც მასში დევს, რაც მისთვის ორგანულია, რაც მისცემს საშუალებას, არ შეუშინდეს სიძნელეებს, თვალი გაუსწოროს გამოწვევებს და თავი გაართვას ამ გამოწვევებს - ერთიან, დიდ ევროპულ ოჯახში შეინარჩუნოს თვითმყოფადობა, სარწმუნოება, ენა, დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები და იმავდროულად, განვითარდეს.

საქართველოს ევროკავშირთან ღრმა და წარმატებული ურთიერთობები აქვს, ქართველები, რომლებიც არასტაბილურ სამეზობლოში ცხოვრობენ საკუთარი უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს გარანტად ევროატლანტიკური ინსტიტუტების წევრობას მიიჩნევენ. მიუხედავად იმისა, რომ ევროპამ საქართველოს ევროპული არჩევანი აღიარა, მისი გაწევრიანება მაინც შორეულ პერსპექტივად რჩება, თუმცა საქართველო მაინც ნაბიჯ–ნაბიჯ, ევროკავშირთან ურთიერთობის განმტკიცებით, ცდილობს საბოლოო ინტეგრაციას.

ევროკავშირის საფუძველში ჩადებულია დემოკრატიული ფასეულობები: ადამიანის ღირსების პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, სამართლებრივი სახელმწიფო და ადამიანის, მათ შორის უმცირესობების წარმომადგენლების უფლებების დაცვა. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში საზოგადოებრივი ცხოვრება დაფუძნებულია შეხედულებათა მრავალფეროვნებაზე, დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის გამორიცხვაზე, შემწყნარებლობაზე, სამართლიანობაზე, გენდერულ თანასწორობასა და სოლიდარობაზე. ამ ფასეულობების პატივისცემის გარეშე დაუშვებელია ევროკავშირის წევრად ახალი ქვეყნის მიღება. ევროკავშირის არსებობის მთავარი მიზანია მის წევრ სახელმწიფოებში დემოკრატიული ფასეულობების და ერების კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

ევროკავშირის მიზნები სხვადასხვა სფეროზე ვრცელდება:

- ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების სფეროში ევროკავშირი მოწოდებულია თავისი მოქალაქეებისათვის უზრუნველყოს მშვიდობა, თავისუფლება, უსაფრთხოება და კანონიერება, რომლებიც დგინდება ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე და არ არის დამოკიდებული შიდა საზღვრებზე. გარე ურთიერთობებში, ევროკავშირი არის საკუთარი ინტერესების და ფასეულობების წინ წამოწევა და დაცვა.

- ეკონომიკის სფეროში, ევროკავშირის მიზანია თავისუფალ და კეთილსინდისიერ კონკურენციაზე დაფუძნებული ერთიანი შიდა ბაზრის შექმნა. პროგრესული და მდგრადი განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის დაბალანსებულ ზრდას. სოციალური საბაზრო ეკონომიკა, სოციალური პროგრესი და უმუშევრობის აღმოფხვრა, გარემოს დაცვა, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფა.

- სოციალურ სფეროში, ბრძოლა სოციალურ გაუცხოვებასთან და დისკრიმინაციასთან, სოციალური დაცვის და სამართლიანობის ხელშეწყობა, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, თაობათა სოლიდარობა და ბავშვთა უფლებების დაცვა.

ევროკავშირის უმნიშვნელოვანესი მიზნებია, ასევე ეკონომიკური, ტერიტორიული და სოციალური ერთიანობა. თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს შორის მჭიდრო ურთიერთობები, ენების და კულტურების სიმდიდრის და მრავალფეროვნების პატივისცემა, საერთო ევროპული კულტურის მიღწევევების დაცვა და განვითარება. როგორც ვხედავთ, ყველა ეს ძირითადი ფასეულობა ისტორიულად ორგანულია ქართული სახელმწიფოსა და მოქალაქეებისათვის.

ევროკავშირში უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია მშვიდობიანი თანაცხოვრებაა. მისი ქვეყნები ერთმანეთს შორის არ აწარმოებენ შეიარაღებულ კონფლიქტებს, რაც არც თუ ისე მცირე მიღწევაა ევროპის მჭიდროდ დასახლებული კონტინენტისთვის, რომლის ისტორიაშიც, საკმაოზე ბევრია სისხლისღვრა.
დღეს ევროკავშირში შემავალი ყველა ქვეყანა ვალდებულებას იღებს, რომ დაიცავს დემოკრატიის და თავისუფლების პრინციპებს, ადამიანის უფლებებს და სამართლებრივი სახელმწიფოს ნორმებს. ევროკავშირის ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს, ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე აქვს უფლებები, რომლებიც მის ფარგლებს გარეთ არ აქვს. მაგალითად, ევროკავშირის ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს, შეუძლია დასახლდეს ევროკავშირში შემავალ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, გახსნას საბანკო ანგარიში, იპოვოს სამუშაო, ისწავლოს ან პენსიაზე გასვლის შემდეგ გაატაროს ცხოვრების ბოლო წლები, საჭიროებისამებრ, მიიღოს მომსახურება და შეიძინოს საქონელი თითქმის შეუზღუდავად ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე.

ევროკავშირის ქვეყნებში მოგზაურობის დროს, მისი ყველა მოქალაქე კარგად აცნობიერებს, რომ ის არა მარტო იტალიელი, ლატვიელი ან ირლანდიელია. ბევრი ქვეყნის საზღვარზე არ მოწმდება პასპორტი, თუკი საერთოდ შესაძლებელია ამ საზღვრების შემჩნევა. საცხოვრებელ ქვეყანაში, დადებული სადაზღვევო პოლისი მოქმედებს ქვეყნის გარეთაც, ერთიანი სტანდარტები მოქმედებს ბევრ სხვა სფეროში.

ევროკავშირში მოქმედებს მთელი რიგი დირექტივებისა, რომლებიც მიმართულია მომხმარებელთა უფლებების დასაცავად. მაგალითად, გადაიდო თვითმფრინავის რეისი – მგზავრი იღებს კომპენსაციას, გენმოდიფიცირებულ კვების პროდუქტზე უნდა იყოს სათანადო აღნიშვნა; ევროკავშირი ზრუნავს შიდა ბაზრის გაძლიერებაზე, ეხმარება სუსტ რეგიონებს მათი ინფრასტრუქტურის განვითარებაში, ახორციელებს ფულად ინვესტიციებს. ევროპული ფასეულობების ცენტრში დგას ადამიანი, მისი პიროვნული სრულყოფა და განვითარება, საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. ამასთან, ერთად ევროპის ერთიანი ოჯახის წევრობა გულისხმობს საკუთარი ქვეყნის სიყვარულს, მისი წარსულით და აწმყოთი სიამაყეს, წარმატებული მომავლის შექმნაში მონაწილეობას.

თითოეული ადამიანი უნდა ესწრაფვოდეს პიროვნულ სრულყოფილებას, რასაც უცილობლად იწვევს კარგი მოქალაქის ჩამოყალიბებას. კარგი მოქალაქე ისაა, ვინც თავისი ქვეყნის სიყვარულის გამო ცდილობს გაუმჯობესოს მისი სამშობლოს ცხოვრება. ეს კი ნიშნავს, რომ ღირსეული მოქალაქე კარგად ხედავს თავისი თანამედროვე ქვეყნის ნაკლოვანებებს, მონაწილეობს მათ გამოსწორებაში.

სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ვამაყობ ჩემი ქვეყნით. ვამაყობ იმით, რომ ვარ ქართველი. ქართული ენის და კულტურის მატარებელი. ყველაზე ძალიან მინდა, რომ ჩემს ქვეყანას ქონდეს საიმედო მომავალი – ისეთი, როგორსაც იმსახურებს. სწორედ ამიტომ ვისწრაფვი გავხდე ჩემი ქვეყნის და სრულიად ევროპის სრულფასოვანი მოქალაქე, რათა ხელი შევუწყო ჩემი საკუთარი, ჩემი ახლობლების და მეგობრების და ამ გზით, საერთოდ, ქვეყნის ცხოვრების გაუმჯობესებას.

ევროპული არჩევანი ყველას არჩევანია, ვინც თავს საქართველოს მოქალაქედ თვლის, რადგან დიდი ხანია ჭეშმარიტებად იქცა ჰენრი ტომას ბოკლის გამონათქვამი „ადრე უმდიდრესი ქვეყნები იყვნენ ის ქვეყნები, რომლებიც ბუნებამ უხვად დააჯილდოვა, ახლა კი უმდიდრესია ის ქვეყნები, რომლებშიც ადამიანია უმეტესად ქმედითი," რადგან ევროკავშირის მოქალაქეობა ჩემი აზრით სწორედაც რომ

ქმედუნარიან მოქალაქედ ყოფნას ნიშნავს, მოქალაქედ, რომელზეც ზრუნავენ და რომელიც ზრუნავს სხვებზე. მოქალაქედ, რომლებიც წლების შემდეგ იცხოვრებენ ჩემს სამშობლოში, ერთ–ერთ ღირსეულ ევროპულ სახელმწიფოში, საქართველოში, ვინაიდან მხარს ოდითგან ვუჭერდით ევროპულ ფასეულობებს – ადამიანის, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების მოძრაობის თავისუფლებას.

საქართველო ევროკავშირის გზაზე

სალომე ზურაბიანი,
მარნეულის მუნიციპალიტეტის #5 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე;

რთულია დადგე არჩევანის წინაშე, მაგრამ ზოგჯერ აუცილებელია აირჩიო რაღაც შენი კეთილდღეობისათვის...

მივესალმები ევროინტეგრაციისაკენ სვლას, რადგან ის უზრუნველყოფს ევროკავშირთან და მის წევრ სახელმწიფოებთან კონკრეტულ პოლტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სამართლებრივ საგანმანათლებლო და სხვა საკითხებთან დაკავშირებული თანამშრომლობის ეფექტიანობის ზრდას, თუმცა ჩემი აზრით, ერთადერთი რამ, რაც უცვლელი უნდა დარჩეს, ეს არის ეროვნული ღირებულებები, ტრადიციები.

სამწუხაროდ, გარდაქმნის პირასაა ეს ყველაფერი, რაც კარგი გვაქვს და გაგვაჩნია, ის კი არ უნდა შევცვალოთ, არამედ პირიქით, კიდევ უფრო უნდა გავამყაროთ. ეს ყველაფერი გაუნათლებლობის ბრალია, როდესაც ვერ აცნობიერებენ ჩემი თანატოლები, თუ რას ნიშნავს „ევროპელობა“. საფრხე, რომლის წინაშეც ვდგავართ, საკმაოდ სერიოზულია, რადგან ჩვენ ვართ მომავალი სახელმწიფოს „მმართველნი“.

ევროკავშირის განვითარებასთან ერთად, წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები თანდათან უფრო მეტ უფლებებს და მოვალეობებს იღებენ მთლიანად კავშირის მიმართ, ვიდრე ჰქონდათ სახელმწიფოსთან მიმართებაში. მოქალაქის კონცეფციის საბოლოო სტანდარტი, რომლის მნიშვნელობაც თანდათანობით იზრდება, მოიცავს განათლების იდეასაც, ვინაიდან საქართველოში მოზარდების წიგნიერების დონე, საშუალოზე დაბალია, მსოფლიოს ორმოცდახუთი ქვეყნიდან, ჩვენი ქვეყანა ოცდამეჩვიდმეტე ადგილზეა. თუ მოქალაქეობა, ტრადიციული გაგებით, მოიცავს უფლებებით სარგებლობას და ასევე მოვალეობების შესრულებას, მაშინ შეიძლება განვაცხადოთ, რომ მოქალაქეებად არ იბადებიან, მოქალაქეებად ყალიბდებიან. მაგალითად, ერთგულება და პასუხისმგებლობა არის თვისებები, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს და ყალიბდებოდეს...

მაშასადამე ერთად ევროპული არჩევანისათვის.

საქართველო ევროკავშირის გზაზე

დიანა ბოლქვაძე,
მარნეულის მუნიციპალიტეტის მარადიდის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე;

თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს უახლეს ისტორიას, ნათლად დავინახავთ, რომ ყველაზე დიდი და სწორი გზისკენ მიმავალი ნაბიჯი, სწორედ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით გადაიდგა.

ასოცირების ხელშეკრულება არის ევროკავშირსა და მის არაწევრ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობაზე შეთანხმება, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ, სავაჭრო, სოციალურ, კულტურულ და უსაფრთხოების სფეროებს. ეს არ არის ხელშეკრულება, სადაც უპირატესობა ენიჭება ერთ ან მეორე მხარეს, სადაც ერთი მხარე დამოკიდებულია მეორეზე ან კიდევ, სადაც ერთი მხარე რაიმე საბაბით გაურბის თავისი მოვალეობების შესრულებას. ეს ორმხრივი ვალდებულების ხელშეკრულებაა, სადაც ორივე მხარეს თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვს.

ევროკავშირი ძალიან კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება გაერთიანდნენ ქვეყნები საერთო მიზნებით და დაძლიონ ისეთი პრობლემები, როგორიც თუნდაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა. მილიონობით მსხვერპლი, განადგურებული ქალაქები, დანგრეული ეკონომიკა - აი, რა კვალი დატოვა ომმა ევროპის ქვეყნებში, მაგრამ ერთობლივი ძალებით, მათ შეძლეს კვლავ მოეპოვებინათ მშვიდობა, აღედგინათ და გაეუმჯობესებინათ ინფრასტრუქტურა და მშპ-საერთო მაჩვენებლით შედარებოდნენ ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა ამერიკა და იაპონია.

რატომ არის ევროინტეგრაცია ჩვენთვის მისაღები?

საქართველოს ეძლევა შანსი დადგეს უფრო სწრაფი განვითარების გზაზე. განვითარდეს ეკონომიკურად, სოციალურად, კულტურულად და ა.შ.

საქართველოს ეძლევა შანსი, გახდეს უფრო აქტიური საგარეო ურთიერთობების მხრივ, გამოვიდეს ქვეყნების ფართო სარბიელზე, გააღრმავოს მეგობრული ურთიერთობები მათთან, რაც მომავალში საერთო სარგებლის საფუძველი იქნება.

საქართველოს გვერდით ეყოლება სანდო და საიმედო მეგობარი ევროკავშირის სახით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, მას აუცილებლად გამოუწვდის დახმარების ხელს.

ქართული საზოგადოება ემხრობა საქართველოს ევროპულ კურსს. ამას ბოლო დროს ჩატარებული გამოკითხვებიც ადასტურებს, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას დადებითად მიიჩნევს.

რატომ გვიზიდავს ევროპა? რატომ არის იგი ჩვენთვის სასურველი?

მაგალითად, როცა ვფიქრობ განსხვავებაზე ევროპის ქვეყნებსა და საქართველოს შორის, მაშინვე მახსენდება ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „კაპიკი გაკაპიკებულა, ანუ ევროპაში რა მონდოდა", სადაც ავსტრია-იტალიის საზღვარზე, ერთ-ერთ მაღაზიაში შესულ მწერალს, ის კი არ აკვირვებს, რომ მაღაზიაში მომსახურე პერსონალის მაგივრად ავტომატები მუშაობენ, არამედ ის, რომ იქაურობის დამსხვრევა ჯერ არავის უფიქრია. ამის გაიგივება ევროპულ ღირებულებებთან ცოტა სასაცილოც კია, თუმცა ფაქტია, რომ ევროპელი მოსახლეობის კანონმორჩილება, გულისხმიერება, პროგრესულობა და მათი თანამედროვე შეხედულებები, მისაბაძი და სანიმუშოა, რადგან ევროპა განვითარდა არამარტო სახელისუფლებო ორგანოებში მომუშავე ხალხის შრომით, არამედ მოსახლეობის ხელშეწყობითაც.

ამიტომ, ჩვენც უნდა ვეცადოთ ფეხი ავუწყოთ ევროპულ ღირებულებებს. ისინი ჩვენ მოგვიტანს განვითარების სწრაფ შედეგებს, უფრო მჭიდრო ურთიერთობებს ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის და საბოლოოდ, ორივე მხარის კმაყოფილებას.

იყო ევროკავშირის მოქალაქე, ნიშნავს დააფასო ევროპული ღირებულებები, იყო მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის, როგორც მისი ხელშემწყობი განვითარების გზაზე, ფიქრობდე პროგრესულად, გქონდეს საშუალება, მიიღო ევროკავშირის დონის შესაბამისი სოციალური დახმარება, პენსია, ჯანდაცვა, განათლება, შეგეძლოს შენი წარმოებული პროდუქტის რეალიზება. იყო ევროკავშირის მოქალაქე, ნიშნავს იცხოვრო თავისუფალ, დემოკრატიულ, მშვიდობიან, დამოუკიდებელ და ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოში.

არავინ იცის მომავალში რა მოხდება, თუმცა მე საქართველოს მომავალს ნათელ ფერებში ვხედავ. რასაც ახლა დავწერ. შეიძლება შეუძლებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ გადავხედოთ ევროკავშირის ქვეყნებს და მივხვდებით, რომ ეს ყველაფერი არ არის რეალობას მოკლებული და რომ თუ ამ გზას გავაგრძელებთ, არაფერი იქნება შეუძლებელი. ათი წლის შემდეგ, საქართველოს ექნება უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის ქვეყნებთან, გაიზრდება მშპ, საზღვარგარეთ სწავლა იქნება უფასო, ყველა სკოლა აღჭურვილი იქნება სპორტდარბაზით, ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიებით, მოსახლეობის უმრავლესობა იქნება დასაქმებული, პენსია გაიზრდება 500 ლარამდე, მნიშვნელოვნად შემცირდება სოციალურად დაუცველთა რიცხვი, გაიზრდება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რაც სამედიცინო მომსახურებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებით აიხსნება, საქართველო ყველაზე უსაფრთხო ქვეყნების ოცეულში მოხვდება, შეიქმნება უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც დიდ წვლილს შეიტანენ არსებული პრობლემების გადაჭრაში, შეწყდება რელიგიური, ეთნიკური, პოლიტიკური თუ სხვა უმცირესობების დევნა, ორმხრივი მოლაპარაკებების საფუძველზე, მშვიდობიანად დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს...

ათი წლის შემდეგ, მე 26 წლის ვიქნები და ვიქნები ბედნიერი, თუ ასეთ სახელმწიფოში ვივხოვრებ.

საქართველო ევროკავშირის გზაზე

მარიამ შაორშაძე,
მარნეულის მუნიციპალიტეტის #5 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე;

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა 1998 წელს დაიწყო, როგორც კი საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

2014 წლის ივნისში ხელი მოეწერა ასოცირების შეთახმებას. ამ შეთახმებით, საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობა სხვა ეტაბზე გადავიდა. ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს სავაჭრო ბაზრის გახსნას. პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას, თავისუფალ მიმოსვლას ევროპის ქვეყნებში. ,,ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს ხალხს კეთილდღეობას მოუტანს, უფრო სტაბილურ, დეოკრტიული ინსტიტუტებს გააძლიერებს, უფრო პასუხისმგებელ და საჭიროებაზე ორიენტირებულ მთავრობას შექმნის იგი გაზრდის ტურისტულ მიმართულებას, ეკოლოგიურ, საგანმანათლებო სისტემებს გააძლიერებს და აიყვანს ევროპულ დონეზე. ამ თვალსაზრისით, მნისშვნელოვანია იმის ხაზ გასმა, რომ ასოცირების ხელშეკრულება, ეს იქნება დასაწყისი იმპროცესისა, რომელსაც ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელობა და მთელი ერი აცხადებდა ძალიან მტკიცედ და მყარად''- განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა, საქართველოს პრეზიდენტმა.

ევროპასთან კიდევ უფრო დაახლოება დიდ ძალისხმევას მოითხოვს და ასევე დიდ დროსთან არის დაკავშირებული. ამ პროცესში მონაწილეობის მიღება თითეული ჩვენთაგანის ვალია. ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ძალიან ბევრი კითხვები დაგროვდა საზოგარდოებაში: რას მოუტანს ხელშეკრულება ქვეყანას, მორგებული იქნება თუ არა ქვეყნის ეროვნულ ღირსება-ფასეულებებზე. ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, ყველაზე პირველი, რასაც მოელის საზოგადოება, ეს არის ეკონომიკური სიძლიერე. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ვიცხოვროთ ნამდვილ ევრპულ ქვეყანაში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, დავკარგოდ ეროვნული ფასეულებები და ტრადიციები. ევროპული ქვეყნის მთავარი ფასეულობა თავისუფლებაა, ადამიანის უფლებები დაცვა, კანონის უზენაესობა კარგი მართველობა, თავისუფლება და სხვ. აღარ იქნება რაიმე ნიშნით დისკრიმინაცია. ხალხი გათავისუფლდება სტიგმატიზაციისაგან. იქნება ადამიანის უფლებების ხელშეუხებლობა და დაიმსხვრება დრომოჭმული ტრადიციები. საქართველოს ყველა მოქალაქე იცხოვრებს თანასწორ, თავისუფალ ქვეყანაში.

ევროკავშირის უმთავრესი ღირებულებაა ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა. ევროკავშირის ძირითადი დოკუმენტები ყურადღებას ამახვილებს ეროვნული უმცირესობების პოლოტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარების უფლებებს. ის მოუწოდებს საქართველოს მთავრობას გამორიცხოს უმცირესობების დისკრიმინაცია და ხელი შეუწყოს მათ ეთნიკურ და ეროვნულ თვითმყოფადობას . მე ამ თემასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი გამაჩნი. რა თქმა უნდა, ადამიანის უხეში დისკრიმინაცია დაუშვებელია, მაგრამ მაგალითები გვაქვს იმისა, რომ ხარ ევროპული ქვეყანა, მაგრამ იცავ შენს ეროვნულ ტრადიციებს და არ უშვებ, თუნდაც, ერთსქესიანთა ქორწინებას ან ხელს უწყობ სექსუალური ორიანტაციის ადამიანების ადაპტაციას საზოგარდოებაში. რა თქმა უნდა, მათი უფლებები უნდა იყოს დაცული, მაგრამ ზომიერების ფარგლებში. მე არ ვგულისხმობ იმას, რომ სხვა ორიანტაცის ადამიანს უნდა გაუსწორდეთ ან ფიზიკური შეურაცხყობა უნდა მივაყენოთ. ჩემი ეს აზრი გამომდინარეობს იქიდან, რომ მე ვარ, პირველ რიგში ქრისტიანი და ყველამ კარგად იცის, რა დამოკიდებულება გააჩნია, ქრისტაინულ და არამარტო ქრისტიანულს სამყაროს ამ თემასთან დაკავშირებით.

მინდა შევეხო თემას, რომელიც ქართველი ახალგაზრდებისთვის მეტად მნიშვნელოვანია. ესაა განათლების საკითხები. ევროკავშირთან შეთახმება ითვალისწინებს განათლებისა და მეცნიერების სფეროში, განსაკუთრებულ აქცენტებს განათლების სფეროში. გაძლიერებულ თანამშრომლობას აკადემიურ სფერეოებში, რაც გულისხმობს, როგორც ინსტუტიციურ თანამშრომლობის გაზდას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და საქართველოს უმაღლესს დაწესებულებებს შორის. ასევე, უნივერსტეტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. ვიმედოვნებ, რომ ევროკავშირში გაწევრინების შემდეგ, ახლგაზრდებს შეეძლება ნამდვილი ევროპული განათლების მიღება.

მე სწორედ ასეთი წარმომიდგენია საქართველო მომავალში. ჩვენ არ მივდივართ უცხო გარემოში, ჩვენ ვბრუნდებით იქ, სადაც ცივილიზაციურად ყოველთვის იყო ქართველების ადგილი.

საქართველო ევროკავშირის გზაზე

ვლადიმერ ჩხიტუნიძე,
მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ საიმერლოს საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე;

ვფიქრობ, ფარსმან მეორეს ვიზიტი რომში, სულხან-საბას ვიზიტი ევროპის ქვეყნებში და რომის პაპთან, ერეკლე მეორეს შვილიშვილთა მცდელობა ევროპული მართვა-გამგეობის შემოღებისა საქართველოში, ევროპული განათლებისადმი საყოველთაო სწრაფვას და ინტერესს წარმოადგენდა.

რა არის ევროპა ქართველისათვის? ევროპა ქართველი კაცისათვის ყოველთვის იყო და არის უკეთესი მომავალი, უკეთესი ცხოვრება მათი შვილებისათვის, კარგი განათლების მიღება და „თბილი სახლი“. სიტყვა ევროკავშირის ხსენებისას, თვალწინ მიდგება უკეთესი მომავალი, თუ როგორ ვსწავლობ ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, ლუქსენბურგის ან სხვა ევროკავშირის წევრი ქვეყნის რომელიმე წარმატებულ სასწავლებელში და თუ როგორი ბედნიერი ვარ. საქართველო ყოველთვის მიისწრაფოდა ევროპისაკენ. მიზანი მხოლოდ უკეთესი ცხოვრება, სიტყვის თავისუფლება და მშვიდობა იყო. ახლა ქვეყანა, დგას ევროკავშირის გზაზე, მაგრამ ჩვენი სამშობლო, ჯერ კიდევ რჩება განვითარებად ქვეყნად. აღარ მინდა საახლობლოში ან თუნდაც ტელევიზიით მესმოდეს, რომ ჩემი ნაცნობები და, ზოგადად, ქართველები ტოვებდნენ საკუთარ ქვეყანას მხოლოდ იმის გამო, რომ მათი დასაქმების პრობლემა სახელმწიფომ ვერ გადაჭრა. აღარ მინდა, რომ ჩემმა თაობამ ემიგრანტების გულაჩუყებულ მონატრებას და სევდას ადევნოს თვალი. პირიქით, დიდი სურვილი მაქვს, რომ ადამიანები საქართველოს უცხო ქვეყნებში გამოცდილებისა და სწავლისთვის ტოვებდნენ, რათა შემდგომ დაბრუნდნენ და მათი კვალიფიკაცია ისევ ქვეყანას გამოადგეს.

დღესდღეისობით, საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება ევროკავშირს და დიდი იმედი მაქვს, რომ მალე ამ სრულფასოვანი გაერთიანების წევრები ჩვენც გავხდებით, რაც მოგვცემს კეთილდღეობას, თუმცა რეალურად, ჩვენ არ ვიცით რა არის „კარგი ცხოვრება“. ჩემი თაობა გამუდმებით ისმენს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით, რომ აღორძინდება ეკონომიკა, იქნება მატერიალური კეთილდღეობა, დაიხვეწება ქვეყნის საგარეო ურთიერთობები, რომ საქართველო პოლიტიკურ ცხოვრების ახალ რელსებზე გადავა.

ჩემი აზრით, ახალი თაობის წარმომადგენლებს, არ განუცდიათ კარგი ცხოვრება, რადგანაც თავად ქვეყანამ გამოიარა ძალიან ბევრი გასაჭირი, ბოლოს ომი, რომელმაც ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვნად დაასვა დაღი. როდესაც ვუკვირდები, ვამჩნევ, რომ ხშირად ვიყენებ სიტყვას „კარგი ცხოვრება“ და რა არის კარგი ცხოვრება?

ჩემთვის კარგი ცხოვრება იქნება ის, როდესაც ჩემი შვილები არ გამოივლიან ისეთ საშინელ დღეებს, როგორიც გამოვიარეთ ჩვენ 2008 წლის აგვისტოში და სწორედ ამას გვპირდება ევროკავშირი. სწორედ ამისათვის შრომობს მთელი საქართველო მუხლჩაუხრელად, რომ ჩვენმა შვილებმა უკეთესად იცხოვრონ და არ ნახონ ომი. ქართველი ერი ნელ-ნელა მიისწრაფის თავისი მიზნისაკენ.

ჩვენ გავხდით დამოუკიდებელი სახელმწიფო, გავატარეთ რეფორმები, დავამკვიდრეთ დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება. რაც მთავარია ამას ხედავს ევროკავშირი, რისი მაგალითიც არის ვილნიუსში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტზე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირების ისტორიული ფაქტი.

ეხლა კი დაგვრჩა მხოლოდ და მხოლოდ ერთი ნაბიჯი - ერთი ნაბიჯი „უკეთესი მომავლისაკენ“ - საქართველო გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი.

საქართველო ევროკავშირის გზაზე

ირაკლი დევაძე,
მარნეულის მუნიციპალიტეტის #5 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე;

ალბათ არ არსებობს ადამიანი, რომელსაც არ ანაღვლებს საკუთარი სამშობლოს მომავალი და მეც სწორედ იმ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები, რომლებიც ფიქრობენ და ნერვიულოენ მიწის თუნდაც იმ პატარა ნაკვეთზე, მსგავსად საქართველოს, რომელზეც ისინი გაიზარდნენ. მიუხედავად ჩემი ასაკისა, თუმცა ვფიქრობ რომ ქვეყნისათვის ზრუნვაზე ასაკი არავითარ გავლენას არ ახდენ, ვცდილობ განვსაზღვრო, თუ რა გზა იქნება უკეთესი იმ ქვეყნისათვის, რომლის მოსახლეობას თავისუფლებისათვის ბრძოლა უკვე სისხლში აქვს გამჯდარი.

რეალურად, დღევანდელ სამყაროში შეგვიძლია გამოვყოთ ორი ძალაუფლების მქონე სუბიექტი - რუსეთი და ევროპული ქვეყნების გაერთიანება - ევროკავშირი. ბოლო პერიოდის მოვლენები, თუნდაც სამხედრო კონფლიქტი უკრაინის სუვერენულ სახელმწიფოშ, ღიად ტოვებს შეფასებებს რუსული პოლიტიკის მიზნებთან დაკავშირებით. თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც ადამიანის უფლებების დაცვა, თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების განხორციელება უმთავრესია, რუსეთის სახელმწიფო საწინააღმდეგო ნაბიჯებს დგამს და შუა საუკუნოვან ტირანულ სახელმწიფოებს ემსგავსება.

სწორედ ამიტომაც, ევროპულ არჩევანს ალტერნატივა არ გააჩნია. ევროკავშირისკენ სვლა წარმოადგენს საქართველოს უსაფრთხოებისა და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტს. ეს ქვეყანას საშუალებას მისცემს, გახდეს უფრო მეტად დაცული. ევროკავშირთან ურთიერთობა ქვეყანას საშუალებას მისცემს განავითაროს ეროვნული ეკონომიკა. ის ფაქტი, რომ სულ ცოტა ხნის წინ საქართველომ ხელი მოაწერა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას, ჩემთვის ნიშნავს ისტორიულს არჩევანს დაახალ შესაძლებლობებს.

ამასთან, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებით, ექნება უვიზო რეჟიმი ევროკავშირის წევრ უკლებლივ ყველა ქვეყანასთან. ასევე ამოქმედდება თავისუალი ვაჭრობა, რაც ვფიქრობ, რომ ქვეყნისათვის და მისი მოსახლეობისათვის მეტად სარგებლის მომტანი იქნება, თუმცა, ჩემი აზრით, ჩვენ არ უნდა გავწევრიანდეთ ევრკოვაშირში მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური ძლიერების გამო. უმთავრესი მიზანი ქვეყნისათვის არის და უნდა იყო, როგორც ტერიტორიული მთლიანობა, ასევე თავისუფლება. ევროპული არჩევანი და თავისუფლებისათვის ბრძოლა არ წარმოადგენს საქართველოსათვის ახალ იდეას.

ყველასათვის ცნობილია ქართველი მეფეების მუდმივი სწრაფვა ევროპისაკენ. ისინი იბრძოდნენ თავისუფლებისათვის და უსაფრთხოებისათვის. გაჭირვების ჟამს, ევროპა წარმოადგენდა ჩვენთვის დამხმარე ძალას. მაგალითისათვის შეგვიძლია გავიხსენოთ სულხან-საბას მოგზაურობა ევროპაში, როდესაც იგი საფრანგეთსი ეწვია ლუი მე-14-ს დახმარების სათხოვნელად. ევროპასა და რუსეთს შორის არჩევაში მარტივად დაგვეხმარება ის ფაქტი, რომ 1921 წელს, როდესაც რუსეთმა დაიპყრო საქართველო, მაშინდელმა მთავრობამ თავშესაფარი სწორედ ევროპაში, პარიზში მოძებნა. არჩევნის სისწორეში დასარწმუნებლად, ასევე დაგვეხმარება გავიხსენოთ ახლო წარსული. ეს იყო 2008 წელი. სწორედ მაშინ სცადა რუსეთმა საქართველოს განადგურება და ყველას ახსოვს ევროპის ქვეყნების დახმარება ჩვენი ქვეყნისათვის. სწორედ მაშინ ჩამოვიდნენ ევროპის ქვეყნის პრეზიდენტები თბილისში, რაც ღია ბარათს წარმოადგენდა მსოფლიო პოლიტიკაში, რომ ევროპა მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს.

ვიმედოვნებ, საქართველოს სულ მალე მიაღწევს მიზანს, რომელიც დიდი ხანია დასახული აქვს და ევროკავშირის ახალი, 29-ე წევრი ეყოლება.საქართველო ევროკავშირის გზაზე

საქართველო ევროკავშირის გზაზე

დეა ნავერიანი,
მარნეულის მუნიციპალიტეტის #5 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე

აღმოსავლეთი თუ დასავლეთი? ამ თემასთან დაკავშირებით „გუშინ“ შეიძლებოდა კამათი, მაგრამ დღეს ყველა ღრმადაა დარწმუნებული, რომ ევროპისკენ სწრაფვა დიდ სარგებელს მოგვიტანს. ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ ქვეყანა, სადაც დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა, ყველაზე უმთავრესია. ასევე ვაღიარებთ, რომ ევროპასთან ინტეგრაცია ერთადერთი კურსია, რომელიც გრძელვადიან მშვიდობას და კეთილდღეობას მოგვიტანს. გარდა ამისა ჩვენ ველოდებით საერთაშრისო საზოგადოებისაან და მთელი ევროპისგან საქართველოს მხარდაჭერას პრობლემების მოგვარებაში, რაც რუსეთთან დიალოგია.

„ჩვენ ვართ ქართველები და მაშასადამე ვართ ევროპელები“ - ეს ფრაზა ხშირად გვსმენია, მაგრამ მხოლოდ იმის მტკიცება, რომ ვართ ევროპელები, არაფრის დადებითს მოგვცემს. წლების განმავლობაში, მივისწრაფვოდით ევროპისკენ, მაგრამ ევროპელობა მხოლოდ ტექნოლოგიების განვითარებას როდი ნიშნავს. საქართველოში ძალიან დაბალი განათლების დონე ალბათ სწორედ ამის გამოა, რომ დღევანდელი თაობა ვერ ათვითცნობიერებს, რას ნიშნავს ევროპელობა და თუ გვინდა, რომ ევროკავშირის დამსახურებული წევრები გავხდეთ, პირველ რიგში, უნდა ავიმაღლოთ განათლების დონე.

ხშირად გვსმენია გამონათქვამები, რომ ევროპის კულტურა ნგრევის პერიოდშია, რომ მისგან ჩვენ არაფერს უნდა ველოდოთ, რადგან დასავლეთის გახრწნილ კულტურას ჩვენთვის არაფრის მოცემა შეუძლია.

ასეთი შეხედულებები დასავლეთის კულტურაზე არის მხოლოდ თავის მოტყუება. ამიტომ ერთად ევროპული არჩევანისათვის.

საქართველო ევროკავშირის გზაზე

ლაშა ნარიმანიშვილი
ახალციხის მუნიციპალიტეტის პირველი საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე

საქართველომ, 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პრო-დასავლური კურსი აიღო, რაც გულისხმობდა ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციას. საქართველომ ამ ნაბიჯით გადაწყვიტა დაბრუნებულიყო ისტორიულ ევროპულ ოჯახს. ჩვენი ქვეყანა კვლავ აგრძელებს წინსვლას და დაახლოებას ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან, რაც ბოლო მოვლენებით, კიდევ ერთხელ დადასტურდა. მოვაწერეთ ხელი ასოცირების ხელშეკრულებას, რამაც კიდევ უფრო დაგვაახლოვა ევროკავშირის წევრობასთან. ასევე, ამ გადაწყვეტილებამ საქართველოს მოქალაქეებს და ქართულ ბიზნესს მისცა საშუალება, რომ იყვნენ უფრო წარმატებულები.

ევროინტეგრაციას აქვს უამრავი დადებითი მხარე, მაგრამ სამწუხაროდ, ზოგი პირიქით ფიქრობს, რომ დავკარგავთ ეროვნულობას, ტრადიციებს, რელიგიას და ა.შ. ჩვენდა საბედნიეროდ, ეს მოლოდინები უსაფუძვლოა. ამაში ძალიან მარტივად დავრწმუნდებით, თუკი გადავხედავთ ევროკავშირის ქვეყნებს, რომლებსაც ყველას აქვთ შენარჩუნებული ტრადიციები, ეროვნულობა და კულტურა. ევროინტეგრაცია მოგვცემს საშუალებას, უფრო მეტ ადამიანს გავუზიაროთ ჩვენი კულტურა, ჩვენი ტრადიციები ჩვენი ფოლკლორი, რომლითაც ასე ძალიან ვამაყობთ.

ევროკავშირი არის მსოფლიოში ყველაზე წარმატებული და ყველაზე განვითარებული ქვეყნების კავშირი, რომლებიც ერთამენეთის დახმარებით და ერთად დგომით უფრო მეტად წარმატებულები არიან. აქედან გამომდინარე, შეკითხვაზე, თუ რას მოუტანს ევროპული ღირებულებები საქართველოს, ვიტყვი, რომ პირველ რიგში, ეს ღირებულებებიაა: მაღალი ხარისხის დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება, თავისუფალი მედია, ქვეყნის უფრო სწრაფი ტემპით განვითარება და ძალიან ბევრი წარმატება ყველა სფეროში.

ევროკავშირის მოქალაქეობა ნიშნავს, რომ ხარ ყველაზე პრივილეგირებული მოქალაქე მთელს მსოფლიოში, უვიზოდ გადაადგილდები მსოფლიოს უმეტეს ნაწილში, მათ შორის ყველა წარმატებულ და განვითარებულ ქვეყანაში. მარტივად და იაფად შეგიძლია მიიღო განათლება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. გაქვს საშუალება დასაქმდე და იყო წარმატებული შენს სფეროში და ალბათ, რაც ყველაზე მთავარია, ხარ სრულიად თავისუფალი.

საქართველო ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, მყისვე დაიწყებს უფრო სწრაფ და უფრო ხარისხიან განვითარების გზას, რომელსაც თითოეული მოქალაქე შეიგრძნობს მთელი ქვეყნის მასშტაბით. გაწევრიანებიდან 10 წლის შემდეგ, საქართველო იქნება არა განვითარებადი, არამედ უკვე განვითარებული და ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა, რადგან გვაქვს პოტენციალი, რომელსაც ჯერ ვერ ვავლენთ. საქართველო იქნება დეოკუპირებული რუსეთის მიერ და საქართველო იქნება ერთიანი, ძლიერი, განვითარებული და წარმატებული ქვეყანა.

საქართველო ევროკავშირის გზაზე

ნანა აკოფიანი,
ახალციხის მუნიციპალიტეტის #3 სომხური საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე;

დღესდღეობით ბევრ სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოც, განვითარების და წინსვლის მიზნით უნდა გაწევრიანება ევროკავშირში. რა არის ევროკავშირი და რატომ ცდილობს საქართველო გაერთიანდეს ევროკავშირში? ევროკავშირი არის ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანება, რომელში შემავალი ქვეყნებიც, ძირითადად, ევროპაში მდებარეობენ. ევროკავშირში შემავალი ქვეყნები ინარჩუნებენ საკუთარ სუვერენიტეტს, იდენტობას, სტატუსს და კონსტიტუციას. ევროკავშირში 27 ქვეყანაა გაერთიანებული. იმისთვის, რომ სახელმწიფო გახდეს ევოკავშირის წევრი ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: უნდა იყოს სტაბილური დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი, სადაც დაცულია ადამიანების უფლებები, კანონის უზენაესობა, საბაზრო ეკონომიკა შეესაბამება და კონკურენტუნარიანია ევროპური ბაზარისთვის და რაც მთავარია, უნდა იყოს ტერიტორიულად მთლიანი.

ჩემი აზრით, საქართველო სწორად ირჩევს ევროპისკენ მიმავალ გზას იმიტომ, რომ ევროკავშირს შეუძლია, შეცვალოს თითოეული სახელმწიფოს ეკონომიკა, ეკოლოგია, პოლიტიკა უკეთესობისკენ. მართალია, მე ეროვნებით არ ვარ ქართველი, მაგრამ ვარ საქართველოს მოქალაქე და ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის მიმართ გამაჩნია უფლებები და პასუხისმგებლობა. ჩემი ქვეყნისთვის მინდა ყველაფერი საუკეთესო. მე ჩემს თავს საქართველოს, შესაბამისად, ევროპის მოქალაქედ ვთვლი. იყო ევროკავშირის მოქალაქე, ნიშნავს იყო დაცული, დემოკრატიული, განვითარებული. ჩემთვის ევროპული ღირებულებებია: კანონმორჩილება, საკუთარი მოქალაქეების დაფასება და მათზე ზრუნვა, სოციალური პასუხისმგებლობა, ჰუმანიზმი, დემოკრატია. არა მარტო საკუთარი თავისუფლების "წყურვილი", არამედ სხვისი თავისუფლების პატივისცემა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და განვითარებისკენ მიმავალი გზა.

ჩემი აზრით, საქართველო ევროკავშირში გაწევრიანებიდან ათი წლის შემდეგ შეიცვლება უკეთესობისკენ. უფრო მეტად, მგონია, რომ საქართველო გახდება სრულყოფილად დემოკრატიული ქვეყანა. თითოეული მოქალაქე უფრო კარგად შეიცნობს თავის უფლებებს და მოვალეობებს. ვერ დაჩაგრავენ მოქალაქეები ერთმანეთს და თითოეული ადამიანი დაიცავს თავის უფლებებს და უფრო სერიოზულად მოეკიდება თავის მოვალეობებს. ვფიქრობ,რომ აღარ გვექნება პრობლემა ეკოლოგიის მხრივ. მინდა ავღნიშნო, რომ დღესდღეობით, საქართველოში ყველაზე მწვავე და გლობალური პრობლემა ეკოლოგიაა. დაბინძურებული გარემო, ქუჩები... ეს ყველაფერი, უარყოფითად აისახება ჩვენს ჯანმრთელობაზე. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში კი ეს პრობლება თითქმის გადაჭრილია. თუ ჩვენ გავწევრიანდებით ევროკავშირში, მოგვარდებოდა სოციალური პრობლემები. მართალია, ამას მხოლოდ ევროკავშირში გაწევრიანება არ უშველის, მაგრამ ნაწილობრივ ხელს შეუწყობს ამ პრობლემის გადაჭრას. საქართველოს ყველანაირი პროდუქცია გავა საზღვარგარეთ და ეს ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას.

დღესდღეობით, საქართველოში სუფევს განათლების დაბალი დონე, რაც გამოხატება სამოქალაქო ჯგუფების ნაკლებად ჩამოყალიბებულ შეხედულებებში. როგორც ვიცით, ევროპაში გაძლიერებული და გამარტივებულია სწავლის ხარისხი, რაც ხელს უწყობს ევროკავშირში გაწევრიანებული ქვეყნების განვითარებას. თუ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, ჩემი ქყვეყანაც განვითარდება. განათლება ხომ ერთერთი საშუალებაა ძლიერ ქვეყნად ჩამოყალიბებისათვის.

ბოლოს, მინდა ვთქვა, რომ დარწმუნებული ვარ, საქართველო, ძალიან ახლო მომავალში, გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო. საქართველო თავისი ისტორიული და ბუნებრივი გამოცდილებით მიდის ევროვრული, დიდი ოჯახისთვის. იმედი მაქვს, ათი წლის შემდეგ, საქართველო გახდება

ეკონომიკურად და პოლიტიკურად სტაბილური ქვეყანა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა გვქონდეს ასეთი ქვეყანა. ერთიანობა ხომ მრავალფეროვნებაშია.

საქართველო ევროკავშირის გზაზე

ნათია კაკაჩიშვილი,
ქალაქ ვალეს N1 საჯარო სკოლის XI ა კლასის მოსწავლე;

პარტნიორობისა და თანამშრომლების შესახებ ხელშეკრულების (PGA) და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ, ,,აღმოსავლეთის პარტნიორობა" საკართველოს ევროკავშირთან კიდევ უფრო დააახლოვებს , ,,აღმოსავლეთის პარტნიორობაში" საქართველოს მონაწილეობა ქვეყანას მრავალი გამოწვევისა და რეფორმის გატარების აუცილებლობის წინაშე დააყენებს. ერთის მხრივ, ჰარმონიზაციის უპრეცედენტო შესაძლებლობები და მეორეს მხრივ, ამისათვის საჭირო რესურსების აკუმლირება, მიმდინარე პერიოდის მნიშვნელოვანი გამოწვევებია.
,,აღმოსავლეთის პარტნიორობის" იდეა ოფიციალურად წამოყენებული იქნა ევროკავშირის სხდომაზე 2008 წლის 19-20 ივნისს. ,,აღმოსავლეთის პარტნიორობის" ინიციატორებად გამოვიდნენ პოლონეთი და შვედეთი. ამ ქვყნებმა შესთავაზეს ევროკავშირს განავითაროს ინტეგრაციული ინიციატივები რიგ პოსტსაბჭოთა სახელმწიპოებთან. მათ რიცხვში შევიდნენ საქართველო, აზერბაიჯანი, უკრაინა, მოლდოვა, ბელორუსი და სომხეთი. გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ აღმოსავლეთის პარტნიორობა უნდა გახდეს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის რეგიონულ (აღმოსავლეთ) განზომილება.

ევროპის კავშირის საგანგებო სესიაზე, რომელიც შედგა 2008 წლის 1 სექტემბერს, გამოხატული იყო სურვილი დაჩქარებულიყო სამუშაოები აღმოსავლეთის პარტნიორობის ასამოქმედებლად, რათა საქართველოში განვითარებული კონფლიქტისა და მისი რთული შედეგების ფონზე, მომხდარიყო ევროკავშირის მხრიდან პარტნიორობის უფრო ცხადად დემონსტრირება.

2008 წლი 3 დეკემბერს, მიღებულ იქნა ევროკავშირის კომუნიკე ,,პარტნიორობის შესახებ", რომელშიც უფრო დეტალურად ჩანდა სავარაუდო აღმოსავლეთის პარტნიორობის კონტურები. 2009 წლის 19-20 მარტს მიღებული იქნა ევროპის კავშირის დასკვნები ,, აღმოსავლეთის პარტნიორობის" შესახებ დეკლარაციის პროექტი.

აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა ითვალისწინებს ფინანსურ შესაძლებლობებს ,,უფრო მეტი უფრო მეტისთვის"- პრინციპით (ასე ვთქვათ, და დამსახურების მიხედვით) გაანაწილებს ანუ 6 ქვეყნიდან თითოეული მიიღებს იმდენს, რამდენიც მას პოლიტიკური რეალობისა და რეფორმების შედეგების მიხედვით ეკუთვნის. ,,აღმოსავლეთის პარტნიორობის" ფარგლებში, ევროკავშირი პარტნიორებს სთავაზობს უფრო მაღალი დონის პოლიტიკურ ასოცირებას და ძირითად სფეროში კავშირების კიდევ უფრო გაღრმავებას. ,,აღმოსავლეთის პარტნიორობის" ფარგლებში, ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყანას შორის ორმხრივი თანამშრომლობა შემდეგი მიმართულებით განვითარდება.

1. **ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობა, ხელშეკრულების (DGFTA) შეთანხმებად მიიღება;**
2. **გადაადგილება და უსაფრთხოება;**
3. **ენერგეტიკული უსაფრთხოება;**
4. **ეკონომიკური და სოციალური განვითარების მხარდაჭერა.**

ამ პროგრამის შექმნის, ერთ-ერთი მიზეზი იყო ისიც, რომ წინამორბედი პროექტი ,,ევროპის სამეზოლო პოლიტიკა და მისი სამოქმედო გეგმა" (ENP AP) დასასრულს უახლოვდებოდა და საჭირო იყო ახალი ინიციატივის წამოწყება ევროკავშირის მხრიდან იმისათვის, რომ მხარდაჭერა დაეფიქსირებინათ თავის აღმოსავლეთ მეზობლებსა და პარტნიორებისთვის, იმ დროს როდესაც პროექტის მთავარ მოწინააღმდეგეს საფრანგეთს, პრეზიდენტ ნიკოლას სარკოზის ინიციატივით წამოწყებული ჰქონდა პროექტი - ,,ერთიანობა ხმელთაშუა ზღვისთვის" (2008 წელი), რომელიც ითვლება ევროკავშირის სამეზობლო პროგრამად მის სამხრეთით მდებარე ქვეყნებთან და რომელშიც

43 ქვეყანაა გაერთიანებული. საქართველოს ომი, რომელმაც შესაძლებლობების ახალი ,,ფანჯარა გაუღო „ ევროკავშირს პრო აღმოსავლური გაფართოების მომხრეთა ჯგუფს“ (პოლონეთს, შვედეთს და ბალტიისპირეთის ქვეყნებს), რომ დაერწმუნებინათ მათი მოწინააღმდეგეები (საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია) მსგავსი პროგრამის არსებობის აუცილებლობაში. რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა დაიწყეს მსჯელობა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ, რეალური ნაბიჯი მხოლოდ 2010 წლის დეკემბერში გადაიდგა.

აღსანიშნავია, რომ სავიზო რეჟიმის გამარტივება არ შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვნად, საჭირო საბუთების რაოდენობის შემცირება და გადასახადის 60 ევროდან 35 ევრომდე დაწევა დიდი შეღავათი არ არის. არის საკითხები, სადაც საქართველო ევროკავშირის მეტ ჩართულობას ისურვებდა. მაგალითად, აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში ევროკავშირის მეტი ჩართულობა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიკტების მოგვარებაში და რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაში, თუმცა აღსანიშნავია საქართველოს პარტნიორობა, საქართველოს მთავრობის მიერ მიჩნეულია, როგორც გარკვეული სახის დაცვის მექანიზმი.

,,აღმოსავლეთის პარტნიორობა”, როგორც ევროკავშირის ახალი ინიციატივა, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პროგრამაა და საქართველო - ევროკავშირის ურთიერთობების თვისობრივად ახალ სიბრტყეში გადაყვანას ნიშნავს.

საქართველო ევროკავშირის გზაზე

მაკა მანველიშვილი,
ახალციხის მუნიციპალიტეტის ვალეს #1 საჯარო სკოლის მე-12 კალსის მოსწავლე

საქართველოს პირველი მოდელი ევროპისადმი იყო, როცა საბჭოთა კავშირს გამოეყო და მიიღო დამოულიდებლობა, გახდა საპრეზიდენტო რესპუბლიკა. შემდეგ, ქვეყანა გახდა ნახევრად საპრეზიდენტო, მოსახლეობამ აირჩია პარლამენტი, რომელი დემოკრატიის ერთ-ერთი წინაპირობაა. ასევე, დაიწყო რეფორმების პროცესი და ევროპისაკენ მისწრაფება. შესაბამისად, უკვე არსებობს შესაძლებლობები, რომ საქართველოს განვითარების ახალ მოდელს, „ევროპა“ სთავაზობს. ევროპიზაციას უამრავი ფორმა აქვს და ეს იდეაც უფრო დეტალურ ანალიზს საჭიროებს. საქართველო ახალი გამოწვევის წინაშე დგას. ის თავს აღიქვამს ევროპულ სახელმწიფოდ. საქართველო ერთ-ერთი გავლენიანი ევროპული ინსტიტუტის, კერძოდ, ევროპის საბჭოს წევრი 1999 წელს გახდა. გაწევრიანების დღეს, ევროპის საბჭოს ანსაბლეაზე გამოსვლისას, საქართველოს პარლამენტის მაშინდელმა თავნჯდომარემ, ზურაბ ჟვანიამ ცნობილი განცხადება გააკეთა „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი“.

ამგვარად, საქართველომ უკვე ევროპული არჩევანი გააკეთა. საქართველო ნელ-ნელა ევროინტეგრაციისკენ მიისწრაფის, ხოლო მისი ერთგვაროვანი პოლიტიკა ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით მოხდება და ასევე დაეხმარება საქართველოს რეფორმების განხორციელებაში, ექსპერტებით და სახელმწიფო ბიუჯეტისთვის თანხების გამოყოფის გზით. საქართველო, ასევე შეძლებს თანხების მიღებას ევროპის საფინანსო ორგანიზაციებიდან, რაც საქართველოსთვის დამატებითი შემოსავალია. ასევე, ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო აღიარებულ საზღვრებში და ეხმარება საქართველოს მშვიდობიანი გზით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. საქართველო და ევროკავშირი განახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა უზრუნველყონ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა. ევროინტეგრაციის შედეგად თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან, რაც იმას ნიშნავს ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოში წარმოებული პრაქტიკულად ყველა პროდუქტის გატანას საბაჟო გადასახადის გარეშე.

ევროპული ღირებულებების განხორციელების შედეგად საქართველოში ამაღლდება ცხოვრების დონე, გაუმჯობესდება ადამიანის უფლელებების დაცვა და უზრუნველყოფილი იქნება კანონის უზენაესობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანს ექნება სიტყვის თავისუფლება, რაც დემოკრატიის ერთ-ერთი წინა პირობაა. ასევე, გაიზრდება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა. უფრო მეტად შეეწყობა ხელი სიტყვისა და მედიიის თავისუფლებას. გაუმჯობესდება საზოგადოების ჩართულობა ქვეყნის მართვაში, ხელი შეეწყობა რეგიონებს შორის სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას და რეგიონებში ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. გაიზრდება თანამშრომლობის შესაძლებლობები საქართველოს რეგიონებსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების რეგიონებს შორის.

საქართველოს მიეცემა მეტი საშუალება, მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის პროგრამებსა და პროექტების განხორციელებაში. ასევე, ხელი შეეწყობა დასაქმებასა და შრომასთან დაკავშირებით ყოველგვარ დისკრიმინაციის აღმოფხვრას. გაძლიერდება ჯამრთელობის დაცვის სისტემა და გაუმჯობესდება სამედიცინო მომსახურეობის ხარისხი. გაძლიერდება ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმის, კორუფციის, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გამოყენების, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა, რაც არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს მთავარ პრობლემად რჩება და, რა თქმა უნდა, საქართველოც ჩაებმება ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში. გაიზრდება ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკის ყველა დარგში, ეს იქნება ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ინსფრასტრუქტურის, გარემოს დაცვის, კულტურის

და სხვა სფეროებში. გაიზრდება ქართული პროდუქციის (მათ შორის, სოფლის მეურნეობის პროდუქტის ხარისხი) და მისი კონკურენტურიანობა ევროკავშირის და მსოფლიოს ბაზარზე. გაიზრდება ევროკავშირიდან ტურისტების რიცხვი და ასევე ხელი შეეწყობა კულტურის პოპულარიზაციას და, რა თქმა უნდა, ხელი შეეწყობა საქართველოს შესახებ ინფორმაციულობის ამაღლებას.

გაუმჯობესდება, ასევე უმაღლესი განათლებიის ხარისხი და დაუახლოვდება ევროპულ სტანდარტებს, გაფართოვდება თანამშრომლობა ევროპისა და საქართველოს უმაღლეს დაწესებულებებს შორის, მასთან ერთად გიზრდება გაცვლითი პროგრამების რაოდენობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სტუდენტები, მეცნიერები და პრფეესორ-მასწავლებლები. ასევე, გაუმჯობესდება გარემოს დაცვითი თუ ეკოლოგიური, ბიომრავალფეროვნების, მათ შორის, გადაშენების პირას მყოფი ფლორისა და ფაუნის სახეობების დაცვის მექნიზმები. გაუმჯობესდება მათი მდგომარეობა და მათი საბინადრო გარემო. აგრეთვე, დაინერგება ტყის რესურსების მართვის, აღრიცხვისა და გონივრულად გამოყენების, ასევ, ევროპაში არსებული გამოცდილება, რაც ხელს შეუშლის ხე-ტყის უკანონო ჩეხვას და არაგონივრულად გამოყენებას.

ჩემი აზრით, ევროკავშირის მოქალაქე ნიშნავს, რომ ხარ მეტად გაუმჯობესებული ცხოვრების დონით, უფრო პრესპექტიული, რაც ევროკავშირი ამის საშუალებას და სტანდარტებს გვაძლევს, ხოლო ევროკავშირის მოქალაქეობის შემთხვევაში, გავალთ ევროპისა და მსოფლიო ბაზარზე ასპარეზობისათვის. ევროკავშირის მოქალაქეობა ნიშნავს, ვემსახურებოდე კანონს და მწამდეს ქვეყნის ეროვნული და ევროპული ღირებულებები.

ჩემი აზრით, საქართველო ევროკავშირში გაწევრიანებიდან ათი წლის შემდეგ, უფრო წამყვანი ქვეყანა იქნება, ვიდრე აქამდე იყო უფრო გაუმჯობესებული ცხოვრების დონით და ქვეყანაში იქნება დანერგილი ევროპული სტანდარტები, თუმცა, როგორც რეალური გადმოსახედიდან ათ წელიადში ყველაფერი, ასე მალე არ გაუმჯობესდება, მაგრამ შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყანისთვის. მეტიც, „საქართველო უკვე დგას ევროკავშირის გზაზე“.

საქართველო ევროკავშირის გზაზე

ანა მაისურაძე,
ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუსხის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

საქართველოსა და ევროკავშირის პირველი თანამშრომლობა 1992 წელს იწყება, როდესაც ევროგაერთიანებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნო და დაიწყო მასთან აქტიური თანამშრომლობა. 1994 წლიდან საქართველომ დაიწყო ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებაზე მუშაობა (PCA). ამ შეთანხმებამ, რომელიც ლუქსემბურგში 1996 წლის 22 აპრილს იქნა ხელმოწერილი, განსაზღვრა ის ძირითადი ჩარჩო, რომლის მიხედვითაც უნდა განვითარებულიყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები. აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1999 წელს.1995 წლიდან საქართველო სარგებლობს ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP). 1997 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, საქართველომ დაიწყო ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.2003 წლის 7 ივლისს ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი სპეციალური წარმომადგენელი (EU Special Representative for the South Caucasus) დანიშნა, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ამ რეგიონის ქვეყნებისადმი თავის ინტერესს.2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირის (მინისტრთა) საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვის შესახებ. ამის შემდეგ საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობები ახალ ფაზაში შევიდა და კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო.2005 წელს, საქართველოს სამი წლის ვადით მიენიჭა ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული გენერალიზებული სისტემის (GSP+ სავაჭრო რეჟიმი) შეღავათები მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობისათვის.2006 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის დასრულდა საქართველო–ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმება, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების განხორციელებას. სამოქმედო გეგმა 2006 წლის 14 ნოემბერს იქნა მიღებული.

ევროკავშირმა, ამერიკელ პარტნიორებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთ–საქართველოს ომის შეჩერებაში. ევროკავშირის შუამავლობით ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის ე.წ. ექვსპუნქტიან შეთანხმებას საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიასთან დაკავშირებით. 2008 წლის 1 სექტემბერს, საფრანგეთის ინიციატივით გაიმართა ევროკავშირის საგანგებო სამიტი, სადაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებმა მკაცრად დაგმეს რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება და სხვა ქვეყნებს მოუწოდეს არ მიიღონ ანალოგიური გადაწყვეტილება.

2008 წლის 15 სექტემბერს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) შექმნის თაობაზე, რომლის ამოცანაა ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულების პროცესზე დაკვირვება. აღნიშნულმა მისიამ საქმიანობა 2008 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო. 2008 წლის 25 სექტემბრის ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პოსტი. 2008 წლის 15 ოქტომბერს დაიწყო ე.წ. ჟენევის მოლაპარაკებები ევროკავშირის, ეუთო-ს, გაერო-ს, აშშ-ს, საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლების მონაწილეობით. მოლაპარაკებების ძირითად საკითხებს წარმოადგენს სტაბილურობა და უსაფრთხოება რეგიონში, დევნილთა დაბრუნება საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების საფუძველზე. აღნიშნული წლების მანძილზე, საქართველო თანდათანობით უფრო და უფრო მიიწევდა ევროკავშირისკენ და 2014 წელის 20 თებერვალს, ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები საქაეთველოს ევროპის ენერგეტიკულ

გაერთიანებაში გაწევრიანების თაობაზე, ხოლო ამავე წლის ივნისში, ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას.

ამ წლების მანძილზე, საქართველო თანთათანობით მიიწევდა ევროკავშირში, თუმცა იმაზე არ საუბრობს არავინ, თუ რას მოუტანს ევროპული ღირებულებები საქართველოს. ასევე, რას ნიშნავს იყო ევროკავშირის წევრი მოქალაქე, ან როგორ განვითარდება საქართველოს გაწევრიანება ევროკავშირში 10 წლის შემდეგ?! ამასთან, დაკავშირებით არის, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ღირებულებები, მართალია ევროკავშირში შესვლის შემდეგ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა იქნება უფრო დაცული, რადგან, როგორც მოგეხსენებათ საქართველო არის პატარა ქვეყანა და მისი მდგომარეობა 2007 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საკმაოდ დაიძაბა. გარდა ამისა, როდესაც საქართველო იქნება ევროკავშირის წევრი, საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ ევროკავშირის ქვეყნებში თავისუფლად გადაადგილებას და საქართველოს გაეხსნება გზა ევროპისკენ. ამასთანავე, ქართველი ხალხი შეძლებს განავითარონ თავიანთი ბიზნესი უკვე ევროპაში, უფრო ადვილად და შეძლონ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თავისუფლად მუშაობა, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამ მხრივ, საქართველომ შეიძლება დაივიწყოს ეროვნული წეს-ჩვეულებები. მიუხედავად საფრთხეებისა, ევროპული ღირებულებები საქართველოს მოქალაქეებს უფრო მეტ თავისუფლებას მოუტანს.

საქართველო ევროკავშირის გზაზე

მარიამ ხატიძე,
ახალციხის მუნიციპალიტეტის #5 საჯარო სკოლის მე-12 კალსის მოსწავლე;

ევროპის კავშირი არის ევროპის 28 დემოკრატიული სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მშვიდობის, თავისუფლებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა მისი წევრი სახელმწიფოებისათვის. საერთო ფართობით, (3 892 ათასი კვ.კმ) მეშვიდეა მსოფლიოში, მოსახლეობის რაოდენობით (500 მილიონი) - მესამე მსოფლიოში. ევროკავშირი ცდილობს მისი მიზნები განახორციელოს მაქსიმალურად უსაფრთხო და სამართლიან გარემოში. ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტებია: ევროპული პარლამენტი, ევროპული საბჭო, ევროპის კავშირის საბჭო, ეკონომიკისა და ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამრთლო. ძირითადი ინსტიტუტების საშუალებით ხდება კომპეტენციების გადანაწილება, საქმიანობის შემსუბუქება და სამართლიანი გარემოს დამკვიდრების ხელშეწყობა.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა 1992 წელს დაიწყო, როგორც კი საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობა აღადგინა. ევროკავშირი ერთ–ერთი პირველი იყო, ვინც საქართველოს გარდამავალი პერიოდის მძიმე წლებში დაეხმარა. 1995 წელს თბილისში ევროკომისიამ წარმომადგენლობა (დელეგაცია) გახსნა. ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობა უფრო ინტენსიური 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გახდა, როდესაც ევროკავშირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების მხარდაჭერა.

2014 წლის ივნისში ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობები ხარისხობრივად სრულიად ახალი ეტაპზე გადავიდა. ასოცირების შესახებ შეთანხმება და მასში შემავალი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) ითვალისწინებენ ევროკავშირთან მომავალი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობას, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვნად გაღრმავებას, საქართველოს დაახლოებას ევროპასთან.

ევროკავშირი და საქართველო, ასევე შეთანხმდნენ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგზე, რომელიც განსაზღვრავს განვითარების პრიორიტეტებს 2014-2016 წწ. პერიოდში, ასოცირების შესახებ შეთანხმების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის განხორციელების გათვალისწინებით. ასოცირების დღის წესრიგი დაეხმარება საქართველოს სრულად ისარგებლოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით, რომლის წინასწარი ნაწილობრივი ამოქმედება (განსაკუთრებით მისი სავაჭრო ნაწილის) 2014 წლის 1 სექტემბერისათვის უკვე დაიწყო. წინასწარი ნაწილობრივი ამოქმედება მისი ევროკავშირის 28 წევრი სახელმწიფოს ეროვნული პარლამენტების მიერ რატიფიცირების პროცედურების დასრულებამდე შეთანხმების უმეტესი ნაწილის ამოქმედების საშუალებას იძლევა.

მოლაპარაკებები ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩათვლით, ოფიციალურად დაიწყო ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში/ევროკომისიის ვიცე პრეზიდენტმა ქეთრინ ეშტონმა ბათუმში, 2010 წლის 15 ივლისს. ისინი დასრულდა 2013 წლის 22 ივლისს. ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება მოხდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე 2013 წლის ნოემბერში. მას ხელი მოეწერა ბრიუსელში 2014 წლის 27 ივნისს, ხოლო 2014 წლის 18 ივლისს მოხდა მისი რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტის მიერ.

საქართველო - ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირის „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" (ENP) შედეგია, რომელიც 2004 წელს დაიწყო და რომლის მიზანი იყო

გაფართოებული ევროკავშირისა და მისი მეზობლების დაახლოება და ყველა ჩართულ მხარეში კეთილდღეობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა. მან ხელი შეუწყო კავშირების ჩამოყალიბებას თანამშრომლობის ახალ სფეროებში და საქართველოს მიზანს, მიეღწია მეტი დაახლოებისათვის ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებთან.

2009 წლის გაზაფხულზე, უფრო ღრმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის წამოწყებით, რომელშიც საქართველოს გარდა ასევე მონაწილეობდნენ სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვა და უკრაინა, ევროკავშირმა ხაზი გაუსვა ამ რეგიონის მნიშვნელობას და იმ პრივილეგირებულ ურთიერთობებს, რომლებსაც ის სთავაზობდა რეგიონის ქვეყნებს.

2005 წლის დეკემბერში ევროკავშირმა საქარველოს მიანიჭა პრეფერენციების ზოგადი სისტემით (GSP+) სარგებლობის უფლება. ეს უფლება 2008 წელს გაგრძელდა და ის გაგრძელდება გარდამავალ პერიოდში DCFTA-ს ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში . GSP+ ითვალისწინებს საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლებას და ტარიფების ცალმხრივად შემცირებას.

1990–იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, ევროკავშირი ეხმარება საქართველოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მომხდარი კონფლიქტების შედეგების აღმოფხვრაში და ის განაგრძობს, ამ რეგიონებში პროექტების მხარდაჭერას. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. ის ასევე მნიშნელოვნად უწყობს ხელს საქართველოს ძალისხმევებს მრავალი დევნილის სასიცოცხლო პირობების გაუმჯობესების მიმართულებით.

2003 წლის ივლისიდან მოყოლებული, ევროკავშირი ნიშნავს ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში (2011 წლიდან - ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში კრიზისის საკითხებში link). ეს არის მაჩვენებელი ევროკავშირის მზადყოფნისა, აქტიურად შეუწყოს ხელი კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას და ნდობის აღდგენის ძალისხმევებს სამხრეთ კავკასიაში, და ამავდროულად კიდევ ერთხელ ადასტურებს ევროკავშირის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას და სუვერენიტეტის მხარდაჭერას. სამოქალაქო ევროკავშირის მონიტორინგის მისია (EUMM) საქართველოში 2008 წლის ოქტომბერში ამოქმედდა, ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესაბამისად, რომელმაც დაასრულა აგვისტოს ომი. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატი გულისხმობს ამ შეთანხმებების მონიტორინგს, კერძოდ სეპარატისტულ რეგიონების ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიების პატრულირებას.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობა სწრაფად ვითარდება. 2004 წლიდან, ევროკავშირი საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი გახდა და მასთან ვაჭრობის წილი საქართველოს წლიური სავაჭრო ბალანსის მესამედს გაუტოლდა. ევროკავშირი მიიჩნევს, რომ უფრო მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაცია საქართველოს ეკონომიკური ზრდის ძირითადი ფაქტორი შეიძლება გახდეს. ვაჭრობის საკითხმა კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა ევროკავშირსა და საქართველოს შორის „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის" (DCFTA) თაობაზე მოლაპარაკებების კონტექსტში. "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის" თაობაზე მოლაპარაკებები 2012 წლის თებერვალში დაიწყო. მოლაპარაკებების დაწყება მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოდგენს. მოლაპარაკებები კვლავ მიმდინარეობს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ევროკავშირის წარმომადგენლობის ბიულეტენი (ევროკავშირი – საქართველო ვაჭრობის საკითხები).

ევროკავშირი ეხმარება საქართველოს გაერთიანებასთან დაახლოების საკმაოდ ამბიციური მიზნის მიღწევაში. 1992–2009 წლებში, ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარება თითქმის 865 მილიონ ევროა, რაც 1992 წლიდან ევროკავშირმა სხვადასხვა ინსტრუმენტების და დახმარების პროგრამების საშუალებით გასწია. დახმარების გაწევა ხდებოდა შემდეგი უწყებების და პროგრამების

საშუალებით: ევროკავშირის ჰუმანიტარული დეპარტამენტის და სურსათით უზრუნველყოფის ოპერაციები ევროპის საფლის მეურნეობის საგარანტიო და სარეკომენდაციო ფონდის საშუალებით , ტექნიკური დახმარება დსთ–თვის , სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამა, მაკროფინანსური დახმარება, ევროპის დემოკრატიის და ადამიანის უფლებების ინსტრუმენტი, სწრაფი რეაგირების მექანიზმი და საგარეო საკითხებში ერთობლივი მოქმედების ერთიანი მექანიზმი.

საქართველო ევროკავშირის გზაზე

რებეკა თოროსიანი,
ახალციხის მუნიციპალიტეტის ვალეს #3 საჯარო სკოლის მე-12 კალსის მოსწავლე;

ევროინტეგრაცია მრავალმხვრივი თემაა, რომელზეც საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ უნდა იმსჯელოს. თითოეულ ჩვენგანს აქვს თავისი არგუმენტები, სუბიექტური აზრები და შეხედულებები ამ თემის ირგვლივ. ამგვარად, როგორც საქართველოს პრემიერ მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს: „მსოფლიოს წამყვანი გაზეთების პირველი ფურცლებიდან, უკრაინის ქუჩებით დამთავრებული, ცხარე კამათი მიმდინარეობის იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს იყო ევროპელი და ევროკავშირის ნაწილი.

ჩემს ქვეყანას აქვს მტკიცე და ძლიერი ევროპელობის განცდა, თუმცა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირისგან გავთავისუფლდით, დავიწყეთ ჩვენი ნამდვილი ევროპული იდენტობის სრულად დაბრუნება. გასულ ნოემბერს, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე ვილნიუსში, სადაც ევროკავშირთან ასოცირებული შეთანხმების პარაფირება მოხდა, ქართველებმა დაადასტურეს, რომ არ არსებობს დავა ევროკავშირის ღირებულების შესახებ. ევროკავშირი წარმოადგენს ევროპას, როგორც მთლიანს, თავისუფალს და მშვიდობიანს. საქართველო ირჩევს და იზიარებს ამ მისწრაფებებს. ევროპული იდენტობა არის ამ საკითხის ერთი მხარე. მეორე მხარეზე დგას ჩვენი მეზობელ ქვეყნის „რუსეთის“ საკითხი. თავისუფლება ყველას უნდა, მაგრამ ევროინტეგრაციით დავკარგავთ სიმშვიდეს, იმიტომ რომ რუსეთთან პრობლემები გარდაუვალი გახდება.

ვიყოთ დემოკრატიულები, ეს ნიშნავს, არ დავარღვიოთ ურთიერთგაგება სხვა ქვეყნებთან. ვიცხოვროთ მშვიდ გარემოში, სადაც პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს, ყველენაირად თავი დავაღწიოთ სტერეოტიპებს და არ ვიცხოვროთ სხვისი ზეგავლენის ქვეშ. ჩვენ შეგვეძლება ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში, უვიზოდ მოგზაურობა, თუმცა ორმაგადდა სამმაგად გაგვიძნელდება შესვლა ჩვენს მეზობელ ქვეყანაში, საიდანაც ყოველ ჩვენგანის ნათესავი მონატრებული თვალებით გვიყურებს, თუ როდის დაესმევა წერტილი ამ ორ ქვეყნებს შორის გაუგებრობას.

საბოლოოდ მინდა ავღნიშნო, რომ თუ საქართველომ მიაღწია იმ დაშვებულ ნორმებამდე და სათანადო დონემდე, ის სრულიად მზად იქნება ევროკავშირში გაწევრიანებისთვის. ევროკავშირში გაწევრიანებიდან 10 წლის შემდეგ, ჩემი აზრით, საქართველოს სახელმწიფოს ყოველ მეორე მოქალაქეს ეცოდინება ინგლისური ენა, ყველა იცხოვრებს ევროპულ თავისუფლებით, თუმცა ამას მოჰყვება ბევრი პრობლემები, როგორიცაა ძველი ტრადიციების დამცირება და ადამიანის იდენტურობის დაკარგვა. იმედი მაქვს, რომ ამ ყველაფერს გაითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტი და მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ყოველმხრივ სასრგებლო და უსაფრთხო იქნება ქვეყნის მომავლისთვის.

პროექტის განხორციელების პროცესში მონაწილეობდა
ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი

არჩილ კაიკაციშვილი, *ორგანიზაციის თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი;*
ნინი ისაკაძე, *პროექტის დირექტორი;*
ემულ კურბანოვი, *პროექტის დირექტორი (მაისი-ივნისი, 2014);*
ანა ბარათაშვილი, *თარჯიმანი;*
ანა რაიბული, *ტრენერი;*
სოფიო გოგნაძე, *გაზეთის რედაქტორი (მაისი-ივლისი, 2014);*
სოფიო კვალიაშვილი, *გაზეთის რედაქტორის თანაშემწე;*
ირაკლი ლეკიშვილი, *გაზეთის რედაქტორის თანაშემწე (მაისი, 2014);*
გულიკო არევაძე, *ფინანსური მენეჯერი;*
სოფიო აზარიაშვილი, *ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი (2013-2014).*

გამოცემის დიზაინი:
კოკა კაპანაძე

სატრანსპორტო უზრუნველყოფა:
თამაზ დვალიშვილი

პროექტის განხორციელების პროცესში, „ახალგაზრდა ადვოკატები“ განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით:

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს;
ბავშვთა და ახალგაზდობის განვითარების ფონდს;
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;
საქართელოს საგარეო საქმეთა სამინისტროს;
საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს;
საინფორმაციო ცენტრს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ;
ევროკავშირის წარმომადგენლობის ელჩს საქართველოში;
სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის გუბერნატორებს;
ახალციხისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების საკრებულოებს;
მარნეულისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების საგანმანათლებლო ცენტრებს;
მარნეულისა და ახალციხის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებს;
სააგენტო „რეპორტიორს“ დათმობილი პრეს-კლუბისთვის.

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

პროექტი: „ერთად ევროპული არჩევანისთვის“ განხორციელდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზდობის სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზდობის განვითარების ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში. თბილისი, 2014 წ.

C ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობისა და განხორციელებული/მიმდინარე კვლევების, პროექტებისა და დასკვნების შესახებ, ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ საიტზე: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
http://www.youtube.com/youngbarristers
მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა #7
ორგანიზაციის ტელეფონი: 2 374509, 2 374503

ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
ცაბო გუგუნაშვილი – 599 010344

ელექტრონული ფოსტა: Pryoungbarristers@yahoo.com; Pryoungbarristers@gmail.com
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივნისი
ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაჭალის ფილიალი
ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ

ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
მისამართი: თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქ. #7
ელ-ფოსტა: pryoungbarristers@yahoo.com;
იურიდიული სტატუსი: არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი
ვებ–გვერდი: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაჭალის ფილიალი
ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

„ახალგაზრდა ადვოკატები“, დაფუძნების დღიდან, აქტიურ უფლებადაცვით საქმიანობას ახორციელებს და ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის, აქტიური წვლილი შეაქვს დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებების/თავისუფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერაში. ორგანიზაციის შემოსავლის წყაროა: შემოწირულობები; გრანტები; კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ახორციელებს სტრატეგიულ საქმისწარმოებას, რაც საადვოკატო საქმიანობის ფორმებთან ერთად, გულისხმობს მჭიდრო ურთიერთობას საქართველოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2014 წლიდან წარმოადგენს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის სრულუფლებიან წევრს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2013 წლიდან წარმოადგენს „სისხლის სამართლის რეფორმის ალიანსის“ წევრ არასამთავრობო ორგანიზაციას.

“ახალგაზრდა ადვოკატები“, 2013 წლიდან წარმოადგენს HRP-ის პროექტის: „ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების ეროვნულ დონეზე აღსრულების მექანიზმი" იმპლემენტაციისთვის შექმნილ არასამთავრობოთა სამუშაო ჯგუფის წევრს

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2012 წლიდან ჩართულია საქართველოს პარლამენტთან არასამთავრობო ორგანიზაციათა დიალოგის ჯგუფის ფორმატში.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2012 წლიდან მონაწილეობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით შექმნილ იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმირებისთვის ჩამოყალიბებულ არასამთავრობო ორგანიზაციათა სამუშაო ჯგუფში.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2012 წლიდან წარმოადგენს ახალგაზრდული ალიანსის: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის” სრულუფლებიან წევრს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ აქტიურად თანამშრომლობს კოლეგა პროფესიულ გაერთიანებებთან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან, მონაწილეობს საერთო ღონისძიებებსა და შეხვედრებში.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ორიენტირებულია კვლევით საქმიანობაზე. ამზადებს თემატურ დასკვნებს, რეკომენდაციებსა და მრგვალ მაგიდებს აქტუალური თემების გაშუქებისა და დისკუსიისათვის. აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი ინიციატივების შექმნასა და განხორციელებაში.

პროექტი:

„ერთად ევროპული არჩევანისთვის“, 2014
„ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“, 2013 *(მიმდინარე)*
„ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურული დიალოგი სახელმწიფოსთან“, 2013 (*მიმდინარე)*
„ხუდონჰესის" პროექტის სამართლებრივი საკითხების ანალიზი“, 2014
„ადგილობრივი ლიდერები“, 2013

კვლევები/მონიტორინგი

კვლევა: „სისტემა მოქალაქის წინააღმდეგ - აჭარაში ქონებაჩამორთმეულთა საქმე“, 2014
კვლევა: „უცნობი მილიონი ლარი – ფილმ „აგვისტოს 5 დღის“ საქველმოქმედო ვახშმის შესახებ“, 2014
კვლევა: „კერძო სექტორში დასაქმებული დედების უფლებრივი მდგომარეობა“, 2014
კვლევა: „პოლიტიკოსების ქონებრივი დეკლარაცია და მათი ფარული ბიზნეს ინტერესები“, 2014
კვლევა: „ქართული რეიტინგული კომპანიები შრომის კოდექსის ახალ სტანდარტებთან იმპლემენტაციაში“, 2014
კვლევა: „მოქალაქეები მთავრობის საჯარო პოლიტიკის პროცესში“, 2013
კვლევა: „საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების სამართლებრივი ანალიზი“, 2013
კვლევა: „საპრეზიდენტო კანდიდატებისა და საპრეზიდენტო არჩევნების ნდობის რეიტინგი“, 2013
კვლევა: „რწმენისა და აღმსარებლობის გამოხატვის შესაძლებლობა საქართველოში“, 2013
კვლევა: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯ "ახალი ტალღის" ადმინისტრაციული მმართველობის გამჭვირვალობის შესახებ", 2013
კვლევა: „ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გამჭვირვალობა და საჯაროობა 2012 წელს", 2013
კვლევა: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 16 აგვისტოს არჩევნების მონიტორინგი“, 2013
კვლევა: „საბჭოთა და პოსტ–საბჭოთა ქართული ანაბრების პრობლემის სამართლებრივი ანალიზი“ , 2013
კვლევა: „პარლამენტის წევრობის ახალგაზრდული ასაკის პოლიტიკური მიზანი და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა“, 2012
კვლევა: „საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების საარჩევნო პროგრამები“, 2012
კვლევა: „გამოხატვის თავისუფლების საკითხი დამოუკიდებელი ტელეკომპანიების საქმიანობაში“, 2012

„ახალგაზრდა ადვოკატებისთვის“ მნიშვნელოვანია მკითხველის აზრი წარმოდგენილი კვლევის შესახებ.

თუკი გსურთ მიიღოთ და გაეცნოთ კვლევის ელექტრონულ ვერსიას, გთხოვთ ორგანიზაციას დაუკავშირდეთ ელექტრონულ მისამართზე:
pryoungbarristers@yahoo.com